# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 თებერვალი 2002 №24 (1546) | ფასი 50 თეთრი


# ზანგმა თოვლზე გაიაროს, ამით რა დაშავდება



REUTERS

ტომით გერმანელმა იოჰან მულეგმა ესპანეთს ორი ზამთრის ოქრო აჩუქა

## ისააკ, პაპაშენი შუბით ლომს კლავდა!

*სპორტი ყველასია, ოლიმპიადა – მით უმეტეს, ამიტომ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის თამაშებზე ხანდახან ისეთი ხალხი გამოერევა, წესით, თოვლი ნანახი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ოლიმპიადაზე მთავარია მონაწილეობა, ამიტომ იუტას შტატის დედაქალაქს კამერუნელმა და კენიელმაც კი მიაკითხეს. მერე რა, რომ თხილამურებზე გაჭირვებით იდგნენ და ჯოხები ყავარჯნის მაგივრობას უწევდათ, მერე რა, რომ მოუთვინიერებელ ლომთა ქვეყნის შვილი ისააკ მენიოლი წუხელ 10 კილომეტრზე თხილამურობაში მთლად ბოლო ადგილზე გავიდა და არც მასაების ტომის წიაღში გაზრდილ ფილიპ ბოიტს უჩვენებია ბევრად საჩინო შედეგი: რაც მთავარია, ოლიმპიური პრინციპი შენარჩუნდა. ხოლო ზამთრის სახეობათა თავადები გუშინაც თავის საქმეს აგრძელებდნენ და ესპანეთის მოქალაქე, გერმანული სისხლის იოჰან მულეგი გახდა მომდევნო, ვინც სოლტ ლეიკ სიტიში ოქროს დუბლი შეასრულა – წუხელ მულეგმა კლასიკურ და თავისუფალი სტილით 10-10 კილომეტრი მოიგო.*





REUTERS

თითითსაჩვენებელი აფრიკელები: კენიელი ფილიპ ბოიტი და კამერუნელი ისააკ მენიოლი

# ქართველები პორტუგალიაში ფრანგებივით ჩადიან

## ბორჯღალოსნებს ერთა თასი მსოფლიოს თასისთვის სჭირდებათ

*გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ნაწილ-ნაწილ, მაგრამ მაინც სრული შემადგენლობით შეიკრიბა ლისაბონში, სადაც ხვალ ევროპის ერთა თასის მეორე ტურში მასპინძელ პორტუგალიას დაუპირისპირდება. 20 ლეგიონერი და მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი პარიზიდან ბარსელონის გავლით შუადღეს ჩაფრინდნენ ლისაბონში. საღამოს კი მათ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები და რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძეც შეუერთდნენ.*

საქართველოს ნაკრები ლისაბონის გარეუბანში სამვარსკვლავიან სასტუმრო „რომაში“ დაბინავდა, რომელიც სტადიონ „ნასიონალიდან“, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს 50 კილომეტრითაა დაშორებული.

ჩვენების მოსაკითხად და ამბის გასაგებად გუშინ ლისაბონში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს და ბორჯღალოსანთა კაპიტან ლევან ცაბაძეს.

**ბიძინა გეგიძე:**

— პორტუგალიელებმა ნორმალურად მიგვიღეს. აეროპორტში კლოდ სორელი და პორტუგალიის რაგბის ფედერაციის წარმომადგენელი დაგვხვდნენ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. ერთი ეგ არის, რომ დღეს სრულფასოვანი ვარჯიში ვერ მოვახერხეთ. მასპინძლებმა მოედანი არ გამოგვიყვეს.

— **რატომ?**

— მითხრეს, დღეს სავარჯიშო მოედანი ჩვენს განკარგულებაში არ არის, ხვალ კი „ნასიონალს“ დილითაც დაგითმობთ და საღამოსაც. ისე, მოედანი რომც მოეცათ, სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება არ გამოვიდოდა. აქ ნაწილ-ნაწილ მოვგროვდით, ზოგი როდის ჩამოვიდა, ზოგი როდის. შუადღით ჩამოფრენილებმა სასტუმროს სიახლოვეს, პარკში წაივარჯიშეს. ტუნტულით ირბინეს და ბურთის თამაშით შეიქციეს თავი.

**— ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— არა, ყველა ჯანზეა და საბრძოლველად ემზადებიან.

**ლევან ცაბაძე:**

— მგზავრობამ ცოტა კი გადაგვღალა, მაგრამ ეს რა პრობლემაა. კარგი იქნებოდა მოედანიც მოეცათ, მაგრამ რახან არ გამოვიდა, არა უშავს. სხვა მხრივ აქაურთა მასპინძლობაზე სასაყვედურო ჯერ არ გვეთქმის. განწყობა, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა. ვემზადებით და მოგების დიდი იმედიც გვაქვს.

**ბაჩო სვანიძე**

### პორტუგალიასთან სათამაშოდ შერჩეული ბორჯღალოსნები

*ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, ვასილ კაცაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე, დავით ბოლღაშვილი, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან ცაბაძე, აქვსენტი გიორგაძე, მევლუდ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, მამუკა მაგრაქველიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, შოთა მოდებაძე, გუჯა იოვაძე, ბადრი ხეხელაშვილი*



ლევან ცაბაძე



ბიძინა გეგიძე

# სისხლიანი ამბავი
## უპურისფულო ხალხი ფედერაციას მიადგა

**გუშინ** კიდევ ერთხელ „აჯანყდნენ" ავჭალელი ფეხბურთელები, უკვე კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ანზორ მამალაძეს მიადგნენ და გუნდიდან განთავისუფლების ფურცელი მოსთხოვეს. ზაზა ცქიფურიშვილი, იოსებ დევიძე, ალექსანდრე კოშკაძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ბაჯელიძე, რევაზ ნაჭყეპია... მოკლედ, „მერანის" ხერხემალი წასვლის მოსურნეა — ჩვენ არც სპონსორებისა გვჯერა და არც პრეზიდენტისო. ყველა დათქმული ვადაც ამოიწურა, მაგრამ ანზორ მამალაძემ და ოთარ გაბელიამ ფეხბურთელთა დაკავება მაინც მოახერხეს.

სევასტიანოვი 24 თებერვალს ჩამოვაო, სჯერათ მაინც ავჭალელებს და იმ დღემდე ყველანაირად ცდილობენ თავისა და ოჯახის შენახვას. ერთ-ერთმა მერანელმა სისხლის გადასხმის სადგურსაც მიაკითხა, რათა საკუთარი სისხლის საფასურად ოჯახში პური და კარტოფილი მიეტანა.

ასეთი ხალხი კიდევ ბევრს გაუძლებს და დღეს „მერანის" მესამეობა უკვე არ არის გასაკვირი.

გუშინ „მერანის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ფეხბურთის ფედერაციის სახელზე საჩივარი შეადგინეს. ის დოკუმენტი, ალბათ, დღეს გატარდება ფედერაციის შესაბამის კომიტეტში. ვნახოთ, იქნებ ფედერაციამ უშველოს ათასგზის მოტყუებულებს.

წესისა და რიგის მიხედვით, უშველის, რადგან კლუბი, რომელიც თავად არღვევს ფეხბურთელებთან კონტრაქტის პირობებს, ვალდებულია, დავალიანებაც აუნაზღაუროს მოთამაშეებს და ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის გარეშე გათავისუფლების ფურცლებიც დაურიგოს. ფედერაცია რომ მწვრთნელ-ფეხბურთელთა მხარეს დაიჭერს, ეს აშკარაა. სხვაგვარად რომ იყოს, ფედერაციაში თურქეთიდან გამოგზავნილ იმ ფულს აიღებდნენ, რომელიც თითქოს „მერანის" დავალიანების დასაფარავად იყო შეგულებული.

თუ გაგიჟებულ ავჭალელებს თავი დაალწიეს, მაშინ „მერანის" რუს სპონსორებს, წესისა და კანონის მიხედვით, „გოლეადორის" ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადმოყვანაც არ გაუჭირდებათ. თუ მოსკოველები თითოეულ მოთამაშეში 100 ლარს გადაიხდიან, მაშინ ბონდო კაკუბავას ბიჭებიც ავჭალელთა განაცხადში მოხვდებიან. როგორც ვიცით, „მერანის" განაცხადში 30-მდე ფეხბურთელია, თორემ ისინი რომ არ იყვნენ, მაშინ მთლად უფულოდ გამერანელდებოდნენ.

მოკლედ, სანამ ეს ამბავი გაირკვეოდეს, კიდევ დიდი „ბრძოლებია" მოსალოდნელი.

ოთარ გაბელია კი საგაზაფხული ეტაპისთვის ამზადებს გუნდს. გუშინ „სინათლეზე" ავჭალელთა მეორე შემადგენლობა, რომელთაგან მეკარე გიორგი გაბელია და ფორვარდი ბიძინა ივეჩიანილა შევიცანით, ზესტაფონის „მეტალურგს" დაუზავდა. საკონტროლო მატჩი უგოლოდ დასრულდა.

**მამუკა ძმანტალიანი**

# უკრაინულ არმიას ქუთაისელებთან ქუთაისელმაც ვერ უშველა



ზურაბ იონანიძემ (შუაში) უკრაინელებს მარტომ მოუგო

**საქართველოს** ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ" გუშინ „თურქმენბაშის თასის" გათამაშების მეორე ტურის მატჩი კიევის ცესკასთან გამართა და 2:1 გაიმარჯვა. ორივე გოლი ზურაბ იონანიძემ გაიტანა.

— „ფლორასთან" მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად, შედეგით კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ ჩემს შეგირდებს თამაშს ვერ მოვუწონებ. ინერტული იყო ნახევარდაცვა, მცველებსაც ჰქონდათ შეცდომები და მაინცდამაინც არც თავდამსხმელები გამოირჩეოდნენ. „ფლორასთან" „ტორპედომ" გაცილებით უკეთ ითამაშა, საგოლე მომენტებიც შევქმენით და მეტოქეს ჩვენს კარს იშვიათად ვაახლოებდით. ერთი სიტყვით, „ფლორასთან" მატჩი სჯობდა ცესკასთან ნათამაშევს, თუმცა, შედეგი, რა თქმა უნდა, დღეს უკეთესი გვქონდა — გვითხრა ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, როცა აშხაბადში დავუკავშირდით.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ტორპედოს" ერთი საპასუხო გოლი ყოფილმა ქუთაისელმა რევაზ კვერნაძემ გაუტანა, ცესკას მეორე ქართველს ლევან მიქაძეს კი არ უთამაშია.

„ტორპედოს" შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ***ტოგონიძე, მახვილაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, თოდუა, ახალკაცი (ვონჩაროვი), ქემოკლიძე, დიდავა, პოროშინი, იონანიძე, ქუთათელაძე (ძამსაშვილი).***

შემდეგ მატჩს საქართველოს ჩემპიონები ხვალ კლაიპედას „ატლანტასთან" გამართავენ.

**ძოგბა ინასარიძე**

# იმერლებმა წეითამაშეს და წევიდნენ
## გურიაში უიშვილის დრო დაბრუნდა

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატს გავარდნის უპირველესი კანდიდატი გამოუჩნდა. ეს ლანჩხუთის „გურიაა". მაშინ, როცა გუნდები მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ პირობებში უკვე კარგა ხანია, საგაზაფხულო ეტაპისთვის ემზადებიან, ლანჩხუთში ჯერჯერობით სრული უმოქმედობაა. ლამის დაშლის პირას მისული „გურიას" სამომავლო პერსპექტივა სრულიად ბუნდოვანია.

თავიდათავი ასეთი ყოფისა, რაღა თქმა უნდა, უფულობაა. წავიდა ის დრო, გურულები რკინიგზის დეპარტამენტის ფინანსური დახმარებით რომ იკვებებოდნენ. ჰოდა, რაიონის ბიუჯეტის შემყურე გუნდი რა მიზნებს უნდა ისახავდეს, თავადაც იოლად მიხვდებით.

თუმცა, საკითხავია, არის კი ლანჩხუთში გუნდი? გაურკვევლობაში დარჩენილმა ფეხბურთელებმა თავიანთი გზა მონახეს და სხვადასხვა კლუბებს მიაკითხეს. ყველაზე ადრე გუნდი სერგო ორბელაძემ დატოვა. განათხოვრების სტატუსით „გურიაში" მოთამაშე პერსპექტიული სტოპერი „ლოკომოტივმა" დაიბრუნა. „ზესტაფონური გვარდიის" უმეტესი ნაწილი საკმაო ხანია, მშობლიურ კლუბში ვარჯიშობს. სულაკაძე, კაციაშვილი, ენდელაძე და გაბრიჭიძე უკვე სრულფასოვან მეტალურგებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან „გურიას" ხელმძღვანელობამ მათ შარშანდელი ხელფას-პრემიის ნარჩენი სრულიად გაუსტუმრა და არც გათავისუფლების ფურცლის აღებაში შეუშალა ხელი. იგივე ითქმის ოდიკაძეზე და მეტრეველზეც, რომლებმაც თავიდან „კოლხეთს" შეაფარეს თავი, მაგრამ ფოთში მხოლოდ ოდიკაძე დარჩა, მეტრეველი კი თბილისში დაბრუნდა.

ფაქტია, რომ დღესდღეობით ლანჩხუთში არც ერთი მოწვეული ფეხბურთელი არ არის და ძირითადი აქცენტი ადგილობრივ მოთამაშეებზე კეთდება. თუმცა, ამათგან ორმა უკვე დატოვა კლუბი. კახა ებრალიძე „გორდაში", ხოლო თენგიზ პატარაია გაცილებით შორს — უკრაინაში წავიდა. მაშ, ვინღა დარჩა? ალექსანდრე განევი, ზვიად ქიქავა, მერაბ კუკულაძე და ირაკლი ფაცურია, რომელთაც კლუბის მესვეურები რამდენიმე ფარმკლუბელს დაამატებენ და ასე აპირებენ გუნდის შეკოწიწებას.

წარმოიდგინეთ, „გურიას" ძველი შემადგენლობით უჭირდა უმაღლესში ფეხის მოკიდება და ახლა რაღა იქნება. ფაქტობრივად, გასავარდნად განწირულნი ჩანან გურულები და ჩემპიონატს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თუ გააგრძელებენ. და თუ ასეა, ერთი კითხვა, ალბათ, ბევრს დაებადება — რა საჭირო იყო გუნდის უმაღლეს ლიგაში დაბრუნება თუ ლანჩხუთში ფეხბურთი ბევრს ჯერ კიდევ ზედმეტ ბარგად მიაჩნია?

ასეა თუ ისე, „გურია" ამ სეზონს უსათუოდ ჩაამთავრებს. კლუბის მესვეურთა ამასწინდელმა ვიზიტმა ფეხბურთის ფედერაციაში ეს კი დაადასტურა, მაგრამ მარტო მონაწილეობა რა ბედენაა, ოლიმპიადა მაინც იყოს.

**გოჩა ჯანჯღავა ლანჩხუთიდან**

# უგოლო სტუმარ-მასპინძელი

**გუშინწინ** რუსთავის „გორდა" გარდაბანში აზერბაიჯანულ „შაფას" ამხანაგურად გაეჯიბრა. თამაში საკმაოდ თვალსასეირო ყოფილა, თუმც მეტოქეები უგოლოდ გაიყარნენ.

— სტუმრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩემი ფეხბურთელების გარჯითაც მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ — გვითხრა გუშინ „გორდას" თავკაცმა თენგიზ კაციამ.

რუსთაველებმა „შაფასთან" შესუსტებული შემადგენლობით ითამაშეს. მიკროტრავმების გამო გუნდს იური გაბისკირია, დავით გოდერძიშვილი, დიმიტრი არსოშვილი და ამირან კედელაშვილი ვერ დაეხმარნენ.

თენგიზ კაციამ მეტოქეს ეს ფეხბურთელები დაუპირისპირა: ***ბათიაშვილი (ბედიაშვილი), ბერიძე, ებრალიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი), თავბერიძე (ჩიქობავა), ლ. ხმალაძე, მელაძე, მონასელიძე (აფშილავა), რეხვიაშვილი, ჯელაძე***

გუშინ დილით „გორდა" ქობულეთში გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე რუსთაველები იქ 25 თებერვლამდე გაჩერდებიან. გუნდი თითქმის დაკომპლექტებულია და რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

**კახა ზალამბერიძე**

### ინგლისი

მეორე დივიზიონი. XXXIV ტური

სუინდონი 0:0 რედინგი

### კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 14 თებერვალი

**A ჯგუფი**

ბენეტონი 89:81 ოლიმპიაკოსი

მაკაბი 76:78 ეფესი

**B ჯგუფი**

კინდერი 69:62 სკაილაინერზი

ოლიმპია 80:74 ბარსელონა

ულქერი 93:79 პერისტერი

ჟალგირისი 90:72 ლონდონ თაუერზი

**C ჯგუფი**

პაო ორტეზი 74:84 კრკა

პანათინაიკოსი 77:88 რეალი

ცსკა 75:77 სკიპერი

**D ჯგუფი**

პარტიზანი 82:88 ვილერბანი

ციბონა 89:90 აეკ

ოსტენდე 88:81 სკავოლინი

# ფაზისი: უზულგარეთო კოლხეთის ბაზისი

**უცხოური** შეკრების გარეშე დარჩენილი „კოლხეთი" ფოთში აგრძელებს წვრთნას. სოსო ფილიამ საბოლოო არჩევანი გააკეთა. 23 ფეხბურთელია მწვრთნელის განკარგულებაში და კოლხებიც ეროვნული ჩემპიონატის კვალობაზე სოლიდურ გუნდად ჩამოყალიბდნენ. ფოთელები ექვსეულში მოსახვედრად იბრძვიან და ამბობენ, ბევრს გავამწარებთო.

ამერიკული „დალას ბერნის" ვარიანტი ჩაეშალა ვალტერ გუჩუას. იგი დღესაც ფოთშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ნახევარმცველი ჯონი კალანდაძე „კოლხეთში" ადრეც ბურთაობდა. რამდენიმე წლის წინ კლუბის უფროსობასთან უთანხმოების გამო გუნდიდან წავიდა და თავი მაშინდელ „შუქურას" (ამჟამინდელი „ქობულეთი") შეაფარა. ფილიას თქმით, კალანდაძეს კვლავაც ჰქონია ფოთში თამაშის სურვილი და არც მწვრთნელია წინააღმდეგი.

ბადრი აბულედიანმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ორ კვირაში ჯერ ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგება, მერე კი გუნდსაც შეუერთდება.

ფილიამ გასინჯვაზე მყოფი კიდევ ორი ფეხბურთელი დაითხოვა — ზურაბ აიანადის მომზადების დონემ ვერ დააკმაყოფილა, ლანჩხუთის „გურიადან" მისულმა კოტე მეტრეველმა კი შეთავაზებული პირობები დაიწუნა.

ცოტა ხნის წინ ფილიამ „კოლხეთი" ფარმ-კლუბს გააჯიბრა. დიდებმა ელდარ გვასალიას (2), ჰამლეტ წივწივაძისა და დავით ოდიკაძის გოლებით 4:0 დაიბრიყვეს პატარები.

შემდეგ „კოლხეთი" წყალტუბოში „სამგურალს" შეხვდა. ფოთელებმა ვალტერ გუჩუასა და დავით ოდიკაძის გოლებით მასპინძლები 2:1 დაამარცხეს.

ვიდრე სოსო ფილიას რჩეულ 23 ფეხბურთელის ვინაობას გაეცნობოდეთ, იმათ გვარებს შეგახსენებთ, რომლებიც „კოლხეთში" შესვენებამდე ირიცხებოდნენ, ახლა კი გუნდიდან დაითხოვეს: მცველ ზაზა მიქელთაძეს ორი ვარიანტი ჰქონია, ან ისევ მშობლიურ სამტრედიას დაუბრუნდეს, ანაც თავი „ქობულეთს" შეაფაროს. დავით ვართაგავა ხობის „კოლხეთში" დაბრუნდა, თავდამსხმელი შალვა მუმლაძე კი სუმის „სპარტაკშია" გასინჯვაზე და ალბათ იქვე დარჩება.

„ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა. ახლა ტაქტიკურად, ტექნიკურად დავიხვეწებით და ჩემპიონატიც კარს მოგვადგება. ალბათ, არავის დავამატებთ და არც გავუშვებთ. კარგი იქნებოდა, უცხოური შეკრება გაგვევლო. გეგმები კი აგვერია, მაგრამ ახლა რა აზრი აქვს. მიზანი უცვლელია — ექვსეულში მოსახვედრად მინდორზე არავის დავინდობთ" — გვითხრა სოსო ფილიამ.

„კოლხეთის" ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა, როცა განაცხადების წარდგენის დრო მოვა, ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს სწორედ ქვემოჩამოთვლილ 23 ფეხბურთელს წარუდგენს.

*მეკარეები: მამუკა გვასალია, ზურაბ ქვაჩაძია, ბიძინა ჩემია;*

*მცველები: ვალერი ტორჩინავა, კახა გოროზია, გელა ფანჩულიძე, ლევან აკობია, ილო ქუტიძე, დავით ნარსია, ელგუჯა პაპავა, ტრისტან ნადარაია;*

*ნახევარმცველები: მიხეილ ქობულაძე, ვალტერ გუჩუა, კახა კვეტენაძე, ჯონი კალანდაძე, ბადრი აბულედიანი, დავით კეირკველია, გიორგი კრასოვსკი, გიორგი ქანტურიძე;*

*თავდამსხმელები: ელდარ გვასალია, ჰამლეტ წივწივაძე, დავით ოდიკაძე, კახაბერ დაუშვილი*

**გიორგი ვაჩნაძიძე**


## ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით

ამზადებს ნებისმიერი სახის

საოფისე ავეჯს

სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს



მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გორძიაშვილის 97 (მეოლოგების მარაგი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01



ხელმისაწვდომი ფასები

გადახდის ნებისმიერი ფორმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

ამხანაგური მატჩი

### ირლანდია 2:0 რუსეთი

13 თებერვალი. დუბლინი. ლენსდაუნ როუდი.

1:0 რიდი (3), 2:0 რობი კინი (20)
ირლანდია: გივენი (დ. კელი 46), ფინანი (მაკატირი 67; ნ. ქუინი 90), ჰარტი (სტონტონი 67), ე. ობრაიენი (ბრინი 46), კანინგემი (რ. დანი 46), როი კინი (ჰოლანდი 85), რიდი (გ. კელი 46), ჰილი (კარსლი 46), დაფი (კ. მორისონი 46), რობი კინი (სადლიერი 67), კილბეინი (მ. კენედი 46)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
რუსეთი: ნიგმატულინი, კოვტუნი, ნიკიფოროვი (ჩუგაინოვი 66), ხლესტოვი (დაევი 90), ალენიჩევი (სემაკი 71), ხოხლოვი (იზმაილოვი 53), ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)
48 000 მაყურებელი



REUTERS ფოტოები

როი კინი (მარცხნივ) და იური კოვტუნი

## მაკარტიმ დედა რუსეთი სიყვარულით დააკმაყოფილა და თვითონაც დაკმაყოფილდა

**მიკ მაკარტი** დააკმაყოფილეს და მიკ მაკარტიმ დააკმაყოფილა — დაკმაყოფილების თემა ამ მატჩის მთავარი ლეიტმოტივი გამოდგა.

„ეს ერთობ დიდი კმაყოფილების მომტანი გამარჯვება იყო და ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაშითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემმა ჯეელებმა დიდი სიმწიფე გამოამჟღავნეს, მიუხედავად მათი ასაკისა" — დამაქრული იყო ნამატჩევს მიკ მაკარტი.

„შესაძლოა, თამაშის ანგარიში 4:3 ყოფილიყო, რადგან იყო დროის მონაკვეთები, როცა ჩვენ კიდევ გვქონდა გატანის შანსი და როცა იძულებული ვიყავით, თავი დაგვეცვა" — ესეც მაკარტის სიტყვები გახლავთ.

იორკშირელი აირიშ მწვრთნელი ოდენ იმას შეუწუხებია, რომ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თავიანთ კლუბების პირველი გუნდის ძირითადში სისტემატიურად არ თამაშობენ. ვინც კორეა-იაპონიაში მიდის, ისინი ვალდებულნი არიან, ძირითადში მოხვდნენ, უთქვამს მაკარტის და „ლიდსის" ფორვარდ რობი კინს გადასწვდომია, თუმცა არც კმაყოფილების გამოხატვა დავიწყებია: „რობი კინით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ის უფრო მწვავედ უნდა თამაშობდეს, გუნდს კიდევ უფრო უნდა მოერგოს და „ლიდსის" პირველი გუნდის ძირითადშიც უფრო ხშირად უნდა ხვდებოდეს!

ვაგრძელებთ კმაყოფილების თემას. ირლანდიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა „ქოვენთრის" ნახევარმცველ კოლინ ჰელის და ეს მოყმე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, თანაც ჰელიმ მხოლოდ ნახევარი ტაიმი იბურთავა.

„ეს უნდა ყოფილიყო რეკორდი — 12 შეცვლა ერთ მატჩში და ეს უნდა იყოს რეკორდი იმისთვისაც, ვინც „მატჩის კაცი" ოდენ 45 წუთში შეიქნა" — ესეც მაკარტის მორიგი წრფელი სიტყვა.

თვით მატჩს რაც შეეხება, ირლანდიამ პირველ წუთებზე დაჩაგრა „დედა რუსეთი" (ასე მოიხსენია ოლეგ რომანცევის გუნდი ერთ-ერთმა ირლანდიურმა გაზეთმა). ინგლისური პირველდივიზიონელი „მილუოლის" შუახაზელმა სტივენ რიდმა რუსთა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, რუსლან ნიგმატულინმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და ანგარიშიც გაიხსნა. რობი კინმა კი თავურით იხეირა, როცა ფინანი ჩინებულად გაისარჯა მარჯვენა ფლანგზე და უზუსტესად ჩაუწოდა ლიდსელს.

რუსები ამის შემდეგღა გამოცოცხლდნენ. საუკეთესო შანსი ბესჩასტნიხს მიეცა, მაგრამ სპარტაკელი ოდენ ხარიხას გარტყმულ ბურთს გამორჩა.

საერთო ჯამში, რომანცევის გუნდმა ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მომენტებში სჯაბნიდა კიდეც მეტოქეს, თუმცა: „მებრძოლმა ირლანდიამ „დედა რუსეთს" ეს შედეგი სიყვარულით მიუძღვნა" — იუწყება „აირიშ ნიუსპეიპარსი."

**დავით თავართქილაძე**



მიკ მაკარტი

### ოთხთა ტურნირი

#### მატჩი მესამე ადგილისთვის

**შვეიცარია 2:1 უნგრეთი**

1:0 მანინი (53), 2:0 მ. იაკინი (56), 2:1 დიეშე (81)
შვეიცარია: ბორერი, ცელვეგერი (მიცარელი 46), ბერნერი, მ. იაკინი, პ. მიულერი (ცვისიგი 55), ვიკი, სესა (დი ჯორიო 77), მანინი, ჰ. იაკინი, ფოგელი (სელესტინი 56), ნკუფო (კაბანასი 64)
მწვრთნელი: იაკობ კუნი
უნგრეთი: ბაბოში, ბოდნარი, კოროლოვსკი, დიეშე, სამოში, ბარანიოში, პეტო (დიორი 46), ლისტეში (ბოორი 46), ფუსი (გერა 46), კენეში (მალმოში 68), ვალტნერი (ა. ტოკოლი 62)
მსაჯი: სოკრატის სოკრატუსი (კვიპროსი)
1 000 მაყურებელი

#### ფინალი

**კვიპროსი 3:4 ჩეხეთი**

1:0 იასუმი (25), 1:1 ლოკვენცი (47), 2:1 იოაკიმი (65), 2:2, 2:3 კოლერი (75, 86), 3:3 კონსტანტინუ (88), 3:4 შმიცერი (89)
კვიპროსი: პანიკოსი, საციასი, იოაკიმი, დასკალაკისი, მ. ხარალამბუსი, იაკოვუ (სპირუ 53), ე. ხარალამბუსი (თ. ტგათოკლეუსი 68), ელევტერიუ (მელანარკიტისი 59), ოკასი, ხრისტოდულუ (გეორგიუ 58), იასუმი (მ. კონსტანტინუ 56)
ჩეხეთი: ვანიაკი (კინსკი 46), ლ. დოშეკი, პეტრონში, ბაროში (კოლუშეკი 70), ოუჟდალეში, პუშმანი (შმიცერი 46), ბარანეკი, პობორსკი, ლოკვენცი (კოლერი 63), სტაინერი (პ. პორუბატი 46), ნედვედი
მსაჯი: პანიკოს კაილისი (კვიპროსი)
2 000 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 0:0 ალბანეთი**

ლუქსემბურგი: ბილე, შულერი, დევილი, ლევაკი (მოსინგი 68), შტრასერი, ბოსენდორფი, რ. პეტერსი, ჰოლსი, ს. შნაიდერი, კარდონი, კრისტოფი (დ. ჰუსი 68)
ალბანეთი: ბეჯაი, ლალა, ნ. დედე, ჩიპი, ჯუპზა (ფაკაი 46), ბ. ჰასი, ა. ჰაჯი, ბელაი, დური, ბოგდანი (ალიაი 66), ტარე
მწვრთნელი: სულეიმან დემოლარი
მსაჯი: რენე როგალა (შვეიცარია)
1 300 მაყურებელი

## შენ გაიტან! დემეტრაძემ სიომინი დააჯერა

**გიორგი დემეტრაძე** კვლავაც აოცებს რუსებს და იური სიომინს. ქართველ ფორვარდს „ლოკომოტივის" მესამე საკონტროლო მატჩშიც არ დატყობია კარგა ხნის უთამაშებლობა, რიგიანად გაისარჯა, ორი გოლი გაიტანა და მწვრთნელსაც შეაქებინა თავი.

„ლოკომოტივი" მორიგ, მეოთხე შეკრებაზეა ესპანეთში. რკინიგზელები დაბა ლამანგაში არიან დაბინავებულნი.

სიომინის გუნდს ნორვეგიის 19-წლამდელთა ნაკრები ჰყავდა მეტოქედ.

პირველ ტაიმში რკინიგზელებმა სარეზერვო შემადგენლობით ითამაშეს. სხვებთან ერთად 45 წუთი ლადო კაკაშვილმაც დაჰყო მოედანზე. ტაიმი ფრედ, 0:0 დასრულდა.

მეორე ნახევარში კი სიომინმა ძირითადის ფეხბურთელები შეუშვა მინდორზე. თავდასხმაში მოსკოველებს პიმენოვი და დემეტრაძე ჰყავდათ გამწესებული. ანგარიში პიმენოვმა გახსნა 55-ე წუთზე, მერე კი ქართველის ჯერი დადგა. დემეტრაძემ მე-60 წუთზე საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, პირველი გაჩნდა ბურთთან და ანგარიში გაზარდა, მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი ორ „ვიკინგს" აჯობა და საჯარიმოში შეჭრილმა შანსი არ დაუტოვა მეკარეს.

„მაოცებს დემეტრაძის მიზანსწრაფვა და თავდაჯერება. მან ახლახან მოიშუშა ტრავმა და ვერც კი ვფიქრობდი, თუ ასე სწრაფად აღიდგენდა დაკარგულს. თუმცა უმთავრესი ის არის, როგორ ფორმაში შეხვდება გიორგი ჩემპიონატს" — ასე შეუქო გარჯა სიომინმა ქართველს.

„ლოკომოტივი" ლამანგაში კიდევ ორ საკონტროლო მატჩს გამართავს, გიორგი დემეტრაძეს კი სამ ამხანაგურ შეხვედრაში უკვე ოთხი გოლი მოუგროვდა.

**პაატა ძვანტალიანი**

## ბათუმს ბულგარეთში დინამოს ჯავრი დაუხვდა

**ბულგარეთში** საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა „ბათუმმა" იქაურ მესამელიგელ სუხინდოლის „ლოვიკოსთან" ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ, კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ბათუმელებმა ჯერ დრიანოვოს „ლოკომოტივი" დაამარცხეს 1:0. შეხვედრის ერთადერთი გოლი პაატა მაჭუტაძემ გაიტანა. ასლან ბალაძემ გუნდი ასეთი სასტარტო შემადგენლობით ათამაშა: *ი.ბალაძე, არჩვაძე, მინდაძე, ი.მახარაძე, კობიძე, გვიანიძე, გ. ჩხაიძე, დარჩიძე, დ. ჯანაშია, აფხაზავა, მაჭუტაძე.*

გუშინ კი ქართველები კვლავაც სუხინდოლის „ლოვიკოს" დაუპირისპირდნენ და ისევ 1:1-ს დასჯერდნენ. ბათუმელთაგან თავი არჩილ რომანაძემ გამოიჩინა. გუნდის თავკაცი ამჯერად ამ ფეხბურთელებს ენდო: *ჭანტურია, კობიძე, თურმანიძე, ზვიგაზავა, ი.მახარაძე, რომანაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე, დ. ჯანაშია, ინაიშვილი.*

ალბათ, შენიშნეთ, რომ „ბათუმის" ლიდერი თემურ ტულუში არც ერთ შეხვედრაში არ გამოჩენილა. მას მცირე ტრავმა აწუხებს და ასლან ბალაძემაც აღარ გარისკა. ტულუშს გვერდს კახა ქაცარავა და ზურაბ არჩვაძე „უმშვენებენ". მათაც ფეხი სტკივათ, თუმც საგანგაშო არაფერი ყოფილა.

— გუნდის მომზადებით კმაყოფილი ვარ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. მართალია, კარგი შედეგებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ გუნდს ურიგოდ არ უთამაშია. მე ჯერ კიდევ ძირითადი ბირთვის ძიებაში ვარ. ასე რომ, შედეგს დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებ — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ, როდესაც ბულგარეთში დავუკავშირდით.

„ბათუმის" თავკაცს შალვა ხუჯაძის თაობაზეც დავეკითხეთ: „შალვას საკითხი ბოლომდე ჯერ არ გარკვეულა, თუმც ის, ალბათ, დაგვტოვებს. როგორც გავიგე, ბერძნები თანახმანი არიან, საკომპენსაციო თანხა გადაიხადონ. ყველაფერი ბათუმში ჩვენი დაბრუნების შემდეგ გადაწყდება. მართალია, ხუჯაძე ჩვენთვის დიდი ძალაა, მაგრამ არა უშავს... შემცვლელი ყველას მოეძებნება".

ასლან ბალაძე შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. ამაში ბათუმელებს ხელი კარგმა ამინდებმაც შეუწყო. ამას დაუმატეთ მშვენიერი საყოფაცხოვრებო პირობები, საწვრთნელი ბაზა და...

ხვალ ქართველები ჩვენთვის კარგად ნაცნობ პლოვდივის „ბოტევს" (1995 წლის ივლისში უეფას თასზე თბილისის „დინამო" დაიფრინა) გაეჯიბრება ამხანაგურად. 16-ში „დაბროვოსთან" მოსინჯავენ ძალას, სამიოდ დღეში კი კვლავ „ბოტევის" ჯერი დადგება.

**კახა შალამბერიძე**

## მანუჩარ მაჩაიძე რაზდანზე ბრუნდება საბჭოთა კავშირმა ქართველებს უხმო



მანუჩარ მაჩაიძე

**სომხები** ნიკიტა სიმონიანის 75 წლის იუბილეს ზეიმობენ. აბა, ასეთი ამბავი უფეხბურთოდ და „ურაზდანოდ" როგორ ჩაივლის. მეზობლები 21 აპრილს საბჭოთა კავშირისა და 1973 წლის „ოქროს არარატის" ვეტერანთა ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებენ.

„რაზდანზე" მასპინძლებმა რინატ დასაევი, ალექსეი მიხაილიჩენკო, იგორ ბელანოვი, გეორგი იარცევი, ფიოდორ ჩერენკოვი და საბჭოეთის დროინდელი ქართველი ვარსკვლავები მიიწვიეს. ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძეს, რამაზ შენგელიას, ვლადიმერ გუცაევს და მანუჩარ მაჩაიძეს „არარატთან" მატჩში ვალერი ლობანოვსკი დამოძღვრავს.

მოკლედ, 1971 წლის 15 სექტემბერი, ერევანი და მანუჩარ მაჩაიძე... ძალაუნებურად 31 წლის წინანდელი ამბავი გახსენდება, ახალგახსნილ „რაზდანზე" ალმა-ათის „კაირატის" მერე ნასტუმრებმა თბილისის „დინამომ" „არარატი" 1:0 დაამარცხა.

ბურთი მანუჩარ მაჩაიძემ გაიტანა. ეს გოლი კი სტუმართაგან "რაზდანზე" გატანილი პირველი გოლი გამოდგა. ეტყობა, ეს ამბავი ერევნელებს დღესაც კარგად ახსოვთ. — მანუჩარ მაჩაიძე „რაზდანზე" ბრუნდება...

**პაატა ძვანტალიანი**

# ამხანაგური მატჩები

# მეცხრე ცაზე ექსპერიმენტით

**ჰოლანდია 1:1 ინგლისი**

1:0 კლუივერტი (26), 1:1 ვასელი (61)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ვან ბრონკჰორსტი, ფ. დე ბური (მუერე 68), რაიციგერი, რიკსენი, კოკუ (ჯ. ბოატენგი 46), ვან ბომელი (დავიდსი 46), ოვერმარსი (მაკაი 87), რ. დე ბური (ვ. სიკორა 58), კლუივერტი, ვან ნისტელროი (მახელბაინკე 65)

ინგლისი: მარტინი (ჯეიმსი 46), ბრიჯი (კ. ბოული 46), ს. კემპბელი (საუთგეიტი 46), რ. ფერდინანდი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 78), ჯერარდი (ბათი 78), სქოულზი (ლამპარდი 78), ბექემი, რიკეტსი (ფოლიში 46), ჰესკი, ვასელი (ჯ. კოული 78)

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

50 000 მაყურებელი



ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ნიკი ბატს (მარცხნივ) და დევიდ ბექემს შუაში ჩაუხტა

REUTERS

**„ამსტერდამ არენაზე"** ჰოლანდიამ და ინგლისმა 1:1 ითამაშეს. 26-ე წუთზე ანგარიში პატრიკ კლუივერტმა გახსნა, მაგრამ ინგლისის ნაკრების დებიუტანტმა დარიუს ვასელმა 61-ე წუთზე გაათანაბრა.

საერთოდ, ინგლისელმა დებიუტანტებმა, ხსენებულმა ვასელმა, მაიკლ რიკეტსმა და უეინ ბრიჯმა, კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს. სვენ გორან ერიკსონის გუნდი, 4-3-3 განლაგებით რომ თამაშობდა, მთლიანობაშიც დაბალანსებული ჩანდა, ხოლო მსოფლიოს პირველობის მიღმა დარჩენილმა ჰოლანდიელებმა საინტერესო ფეხბურთი მხოლოდ თავდასხმაში აჩვენეს.

„ვფიქრობ, ფრე დავიმსახურეთ — განაცხადა მატჩის მერე დევიდ ბექემმა — ჰოლანდია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდთაგანია, მაგრამ ჩვენ ბურთს ძალიან კარგად ვათამაშებდით. თან, მოგეხსენებათ, ტაქტიკური ექსპერიმენტი ჩავატარეთ, 4-3-3 განლაგებით ვითამაშეთ. ვფიქრობ, საამისოდ სწორედ ახლა იყო შესაფერისი დრო.

საბოლოოდ, ჩვენ უფრო მეტი მომენტი შევქმენით. მართალია, შეხვედრა ამხანაგური გახლდათ, მაგრამ ჰოლანდიელებთან წარმატების მიღწევა გვეწადა. თანაც, ამ მატჩში ბურთის წართმევაში ვივარჯიშეთ. ამ ტიპის გუნდებთან ხომ ბურთი შენ თუ არ გაქვს, დამარცხდები".

ინგლისელთა შვედმა თავკაცმა, სვენ გორან ერიკსონმა კი ბრძანა, რომ დიდი ხანია ახალი სისტემის გამოცდა სურდა:

„წინა წელს ათი თამაში ჩავატარეთ, მაგრამ, ვინაიდან მსოფლიოს პირველობის საგზურისთვის ვიბრძოდით, ექსპერიმენტების დრო უბრალოდ არ გვქონდა. არადა, მეორე მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი სისტემით წასვლა, უბრალოდ არასწორი იქნება. ერთი სიტყვით, დღეს ახალი განლაგებით თამაში ვცადეთ და შედეგმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება ჩვენი გოლის ავტორს, მინდა გითხრათ, რომ ვასელი ჩინებული იყო. გოლიც ჩინებული გაიტანა და რაც ვთხოვეთ, ყველაფერი შეასრულა".

დარიუს ვასელი: „როდესაც შესაძლებლობა გეძლევა, ვალდებული ხარ გამოიყენო. რამდენჯერმე ვცადე კარში დარტყმა და საბედნიეროდ, კარგად გამომივიდა. სიხარულით მეცხრე ცაზე ვარ".



დარიუს ვასელმა ჰოლანდიელებს ჭადრო-გოლი გაუტანა

ხოლო ჰოლანდიის ნაკრების ახალ-ძველ მწვრთნელს, დიკ ადვოკაატს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა:

„თამაში ცოტა არეულ-დარეული მეჩვენა. თავიდან ჩართვა გაგვიჭირდა. სამწუხაროდ, ბურთს ხშირად ვკარგავდით, რის გამოც სახიფათო მომენტებიც ვერ შევქმენით იმდენი, რამდენიც საჭიროა. ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ ჰოლანდიამ გაიმარჯვოს, პოზიციური ფეხბურთი უნდა ითამაშოს, ეს კი დღეს ვერ მოვახერხეთ".

**ბაჩუნა ძიძია**

# საფრანგეთი დაიბნა

## ყველაფერში დამნაშავეა უდროობა

**საფრანგეთი 2:1 რუმინეთი**

1:0 ვიეირა (2), 2:0 პეტი (27), 2:1 განეა (89)

საფრანგეთი: რამე, ტურამი, დესაი, კრისტანვალი, კანდელა, ე. პეტი (მაკელელე 46), ვიეირა (მიკოლიაინი 46), პირესი, ზიდანი (კარიერი 72), ანრი (ტრეზეგე 72), დიუგარი (ვილტორდი 60)

რუმინეთი: ლობონტი, კონტრა (სტოიკანი 87), რ. რატი (სოავა 46), კიუ, რადოი, პოპესკუ, დ. მუნტიანუ, მუტუ (როსუ 77), გიოანე, ა. ილიე (განეა 46), მოლდოვანი (ბანზუ 72)

მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)

75 000 მაყურებელი

**„დავიბენი,** პირველად ხდება, რომ მატჩის ანალიზს ვერ ვაკეთებ. საწყის 20 წუთში გუნდური თამაშით უკმაყოფილო ვარ, თუმცა ის მომეწონა, რომ მთლიანობაში თამაში ჩვენ მივყავდა" — თქვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა.

ფრანგები კორეა-იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონობის დასაცავად მიდიან და მუნდიალზე ვერმოხვედრილი რუმინეთისთვის რომ მოეგოთ, რა გასაკვირია, მაგრამ ძალიან კი გაუჭირდათ.

„ბოლო ხუთი წუთი ჩვენთვის, შესაძლოა, საბედისწერო გამომდგარიყო. ვიცოდით, რომ რუმინელებს ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავთ და დღეს ეს მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, არაფერი დაგვითმეს. ბევრი მოთამაშის გამოცდა მსურდა, მაგრამ ახლა დაბნეული ვარ და უნდა დავფიქრდე. უამრავი უპასუხო კითხვა გამიჩნდა" — ესეც ლემერის სიტყვებია.

რუმინელთა ავ-კარგი ჩვენც ვიცით. თბილისში რაც გვიქნეს და ბუქარესტში წაგებას რომ გადაურჩნენ, კარგად გვახსოვს, სლოვენიასთან პლეი ოფში რომ დამარცხდნენ, არც ეგ დაგვვიწყებია, მაგრამ ფრანგებს თუ ასე ააფორიაქებდნენ, მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო.

აფორიაქება აფორიაქებად და ფრანგებმა მაინც მოიგეს. პირველი „არსენალის" პატრიკ ვიეირამ, მეორე კი „ჩელსის" ემანუელ პეტიმ გაიტანეს. პეტის გოლიდან ოთხ წუთში სტუმრებს ერთის გაქვითვა შეეძლოთ, მაგრამ ადრიან მუტუს პენალტი ულრიხ რამემ მოიგერია, რომელიც ფრანგთა კარს დაშავებული ფაბიენ ბარტეზის ნაცვლად იცავდა.

რუმინელებმა საპასუხო მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შეაგდეს, შეცვლაზე შესულმა იონელ განიამ ივაჟკაცა, მეტისთვის კი დრო აღარ ეყოთ, თორემ...

**სოლომონ გულისაშვილი**



რუმინელი გეორგე პოპესკუ ტიერი ანრის ძლივს დაეწია

REUTERS

# ჩემო ტკბილო და მწარავ კლოზე

**გერმანია 7:1 ისრაელი**

0:1 კანი (27ა.გ.), 1:1, 2:1 კლოზე (48, 49), 3:1 ბალაკი (62), 4:1 კლოზე (64), 5:1 ბირჰოფი (69), 6:1 ასამოა (75), 7:1 რიკენი (79)

გერმანია: კანი, ვიორნსი (მეცელდერი 78), ს. კელი, რამელო (ფ. ბაუმანი 78), იენს ნოვოტნი (ლინკე 46), ბალაკი, შოლი (ფრინგსი 78), ბ. შნაიდერი, რიკენი, იანკერი (ბირჰოფი 66), კლოზე (ასამოა 73)

ისრაელი: ავატი, ბანარი (ახარაზი 83), ბენ-შიმონი (ბენადო 67), დომბი, გერშონი, კეისი, ბანინი, ტალი, ბენაიუნი, რევივო (როსენი 70), ბოლდმანი (ბალილი 46)

მსაჯი: სტივენ დანი (ინგლისი)

24 000 მაყურებელი



ებრაელმა ილან ბანარმა მიროსლავ კლოზე წამოაქცია

REUTERS

**კაიზერსლაუტერნის** „ფრიც ვალტერ შტადიონზე" ბუნდესნაკრების მატჩს თავად ფრიც ვალტერი, გერმანელთა ოდინდელი კაპიტანი ვერ დაესწრო, 81 წლის ვალტერი რამდენიმე საათით ადრე გულის შეტევის დიაგნოზით საავადმყოფოში მიიყვანეს...

გერმანიამ ახალი სანაკრებო წელი ჩინებულად დაიწყო. ისრაელს შინ 7:1 მოუგო და აქა-იქ ხალხი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე მათ ფავორიტობაზეც ალაპარაკდა. ფავორიტობაზე საუბარი, ალბათ, გადამეტებულია, ასეთი გოლთაცვენის მიუხედავად გერმანია დღეს მაინც საშუალო ევროპული გუნდია, თუმცა ბრძოლის ჟინი ძველთაგან მოსდგამთ და თუნდაც კრიზისში იყვნენ, ძალიან სახიფათონი არიან.

ოთხშაბათ საღამოს კი ყველაფერი უჩვეულოდ დაიწყო. 27-ე წუთზე ოლივერ კანმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და ამით მაყურებელიც და სტუმრებიც ფრიად გააკვირვა. ებრაელთა მეკარე დუდუ ავატმა კი რამდენიმე აკრობატული ნახტომით დაიცვა თავისი კარი და შესვენებაზე რიქარდ მიოლერ-ნილსენის ბიჭები ერთბურთიანი უპირატესობით წავიდნენ.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და რა დაიწყო... შვიდი გოლი 28 წუთში... აქედან სამი 23 წლის კაიზერსლაუტერნელი მიროსლავ კლოზესი იყო, რომელიც ეროვნული გუნდის მაისურით პირველად თამაშობდა მშობლიური „ფრიც ვალტერ შტადიონის" აუდიტორიის წინაშე. „კიკერმა" კლოზე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა და უმაღლესი შეფასება — ერთიანი დაუწერა. ბუნდესმწვრთნელმა რუდი ფიოლერმა კი დასძინა: „კლოზეს საუცხოო მონაცემები აქვს და თუ იბეჯითა, მისგან დიდებული თავდამსხმელი დადგება. ის კარგად თამაშობს თავით, ძლიერია ორთაბრძოლებში, მეტოქის კართან შინაურულად გრძნობს თავს და ჩინებული დრიბლინგი აქვს. ეგ არის, ჟინი აკლია, ძალიან კეთილია მინდორზე. თუ ამ პრობლემას მოაგვარებს, მომავალიც მისია".

კლოზემ პირველად ითამაშა ბუნდესნაკრების სასტარტოში და ამისთვის ფიოლერს მეტად ემადლიერება: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია კორეაიაპონიაში გამგზავრება. 2006 წლისთვის კი, შესაძლოა, ნაკრების წამყვანი მოთამაშეც გავხდე. ამისთვის სისუსტეები უნდა დავძლიო, კერძოდ, მთელი მატჩისთვის ძალები თანაბრად გავანაწილო".

მოკლედ, გერმანიამ მიოლერ-ნილსენის გუნდი შეარცხვინა: „0:1 ვაგებდით, მაგრამ არ დავბნეულვართ. დრო გვჭირდებოდა და ყველაფერი კარგად გავაკეთეთ. როგორც ხედავთ, ნაკრების საქმე უკეთესობისკენ მიდის. დღეს ყველა ფეხბურთელმა შესაძლებლობის ასი პროცენტი გაიღო" — განაცხადა თამაშის მერე ფიოლერმა.

ებრაელთა გერმანიაში პირველმა სტუმრობამ კი ადგილობრივი პოლიციის დიდი გააქტიურება გამოიწვია. სტადიონის ახლო-მახლო ასეულობით სამართალდამცავი იდგა და შემსვლელებს საგულდაგულოდ ჩხრეკდა. თუმცა უპირველესი პრობლემა კოკისპირული წვიმა გახლდათ, რომელმაც მეხანძრეთა რაზმები აიძულა, მოედნიდან წყალი გაეტუმბათ.

**სოლომონ გულისაშვილი**



ფრიც ვალტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## მეორედ ფიგუ ბარსელონაში ჩავიდა!

**ესპანეთი 1:1 პორტუგალია**

0:1 ჟორჟე კოშტა (29), 1:1 მორიენტესი (41)
ესპანეთი: კასილიასი (კანისარესი 65), კურო ტორესი (სალგადო 46), პუიოლი (ტელიესი 65), ნადალი, სერხი (ხუანფრანი 65), ხოაკინი, ბარახა (ვალერონი 46), ხავი (ი. ელგერა 46), ვისენტე (მენდიეტა 46), მორიენტესი (ტრისტანი 46), ტამუდო (მუნიტისი 65)
პორტუგალია: რიკარდუ (კიმი 46), ნუნუ ფრეშუ ფ კოუტუ ჟორჟე კოშტა (პაულუ ბენტუ 90), რუი ჟორჟე (დიმაში 46), ვიდიგალი, ფიგუ (ნუნუ კაპუშუ 81), ვიანა (ანდრადე 62), ს. კონსეისაუ (სიმაო 46), ჟოაუ პინტუ (ბარბოსა 46), პაულეტა (ნუნუ გომეში 46)
მსაჯი: ალექსანდრუ ტოდორი (რუმინეთი)
42 000 მაყურებელი

**ლუიშ ფიგუ** პორტუგალიის ნაკრებთან ერთად ბარსელონაში ჩავიდა და ამხანაგურ მატჩში ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა.

ფიგუს ბარსელონაში ჩასვლა კი, კარგად მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს და ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთ — პორტუგალიის ამხანაგური მატჩი „ესპანიოლის" „მონჟუიკის" სტადიონზე ჩატარდა და არა „კამპ ნოუზე", ფიგუს ბურთთან ყოველ შეხებას სტადიონზე შეკრებილი კატალონიელების გამყრუებელი სტვენა სდევდა თან.

შევნიშნოთ, რომ პორტუგალიელს მალე კვლავ მოუწევს ბარსელონაში ჩასვლა და „კამპ ნოუზე" ყოფილი კლუბის წინააღმდეგ „რეალის" მაისურით თამაში (17 მარტს), მომავალი ვიზიტი კი გაცილებით სერიოზულია ამჟამინდელზე.

თუმცა ფიგუ პროფესიონალია და მთელმა ბარსელონამ ერთდროულად რომ დაუსტვინოს, მოედანზე მისი შეჩერება მაინც რთულია. ეს ესპანელებთან მატჩშიც კარგად გამოჩნდა.

„მონჟუიკი" უსტვენდა, ფიგუ კი ესპანელთა მცველებს აწიოკებდა. პორტუგალიელთაგან ყველაზე გამორჩეულნი ის და სერჟიუ კონსეისაუ იყვნენ — ფლანგებიდან უტევდნენ, ადგილებს ხშირად ცვლიდნენ, რის გამოც ესპანელთა განაპირა მცველებს, სერხის და კურო ტორესს სისხლი გაუშრეს.

29-ე წუთზე პორტუგალია სწორედ ფიგუს გარჯის მერე დაწინაურდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ესპანელებმა თავისი საჯარიმოს მისადგომებთან მოცელეს. ჯარიმა თავად დაარტყა, უფრო სწორად, თანაკლუბელი იკერ კასილიასის კართან ჩაჰკიდა, სადაც ბურთს ჟორჟე კოშტა დაუხვდა და თავური გაიტანა.

ესპანელებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს. პრიმერადივიზიონის წინა ტურში ხუთი გოლის გამტანმა ფერნანდო მორიენტესმა ამჯერად ნაკრებში გამოიჩინა თავი.

„რეალის" თავდამსხმელს დუბლის შესრულებაც შეეძლო, თუმც ერთ ეპიზოდში პორტუგალიელთა დაცვის უხეში შეცდომის გამოყენება ვერ მოახერხა.

ისიც ვთქვათ, რომ ესპანეთის ნაკრებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ფერნანდო იერო და რაული ტრავმირებულები არიან, დოპინგზე მხილებულ ხოსეპ გვარდიოლას კი ეროვნულ გუნდში თამაში კარგა ხნით აუკრძალეს. ამას მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს ექსპერიმენტიც დაერთო — მან ივან ელგერა, ხუან კარლოს ვალერონი და გაისკა მენდიეტა სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, რადგან ეს დღე ესპანელთა ნაკრებში ახალგაზრდების გამოცდისა იყო.

თამაში კარგად წაუვიდა ოცი წლის ვალენსიელ ვისენტეს. სწორედ მისი წაქცევის შემდეგ შექმნილ ეპიზოდში მოახერხეს ესპანელებმა გათანაბრება.

მეორე ტაიმში მოედანზე ელგერა და მენდიეტა გამოჩნდნენ და მასპინძლებმაც იერიშებს უხშირეს, თუმცა ეს გოლში ვერ აისახა, ისევე როგორც პორტუგალიელი ნუნუ გომეშისა და პედრო ბარბოსას თავგამოდებამ ჩაიარა უშედეგოდ.

ფიგუმ კი ზედმეტი თავგამოდებით ყვითელი ბარათი დაიმსახურა. არბიტრმა იგი ხუან ფრანთან ორთაბრძოლის გამო თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გააფრთხილა.

**ნიკა ზუბლაძე**



REUTERS ბარსელონიდან

ფიგუ (ზურგით) ბარსელონაშიც ფიგუა



REUTERS კარდიფიდან

ხუან რომან რიკელმეს, თუ არ წააქციე, ბურთს ვერ აართმევ

## უელსმა ვერონი აღიარა

**უელსი 1:1 არგენტინა**

1:0 ბელამი (34), 1:1 კრუზი (62)
უელსი: პ. ჯოუნსი (კროსლი 46), მ. დილანი, პეიჯი, მელვილი, სპიდი, ს. დევისი, ხევიჯი, პემბრიჯი (კ. რობინსონი 90), გიგზი (ჯ. რობინსონი 61), ჰარტსონი, ბელამი
არგენტინა: საბა, შამოტი, ვივასი, პლასენტე, ხუსაინი, ვერონი, რიკელმე (აიმარი 74), სორინი, კანიჯა (გალეტი 90), ხ. კრუზი (სავიოლა 74), კილი გონსალესი
მსაჯი: პოლ მაკკეონი (ირლანდია)
62 500 მაყურებელი

**კარდიფში**, „მილენიუმის" დიდებულ სტადიონზე უელსი არგენტინას 62-ე წუთამდე უგებდა, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა „ბოლონიას" ფორვარდ ხულიო კრუზის გოლით გაათანაბრეს. თამაში ლაღი და საინტერესო გამოდგა, ორივე გუნდმა შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი, ხოლო არგენტინელებმა ექსპერიმენტული შემადგენლობითაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. „მიხარია, რომ ბოლოსკენ გოლი არ გავუშვით. რომ წაგვეგო, ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა — თქვა უელსელთა დამრიგებელმა მარკ ჰიუზმა — არგენტინა კი ძალიან ხარისხიანი გუნდია და მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრ შთამბეჭდავ წუთს გვაჩუქებს".

კმაყოფილი იყო სტუმართა მწვრთნელი მარსელო ბიელსაც: „ბურთს ვაკონტროლებდით და სახიფათოდაც ხშირად ვუტევდით. წესით უნდა მოგვეგო, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი გაძნელდა. მით უმეტეს, რომ რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოვცადეთ. ისე, რაც დღეს იხილეთ, ნაღდი არგენტინის ნაკრები იყო".

ბიელსამ მანამდეც უთხრა ჟურნალისტებს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრ ფეხბურთელს გამოვცდიო. ოთხშაბათს დაპირებისამებრ ათამაშა ვეტერანი შემტევი, შოთა არველაძის რეინჯერსელი თანაგუნდელი კლაუდიო კანიჯა, რომელსაც ეროვნული გუნდის მაისურა 1996 წლის მერე აღარ მოერგო, კარს დებიუტანტი დიეგო სებასტიან საჩა იცავდა, ხუან რომან რიკელმე, პაბლო აიმარი, ხავიერ სავიოლა და ლუჩანო გალეტიც არ არიან ძირითადის ხალხი.

მასპინძლებმა ბრიტანულად გაიტანეს. რაიან გიგზმა კუთხური ჩააწოდა, შორეულ ძელთან კრეიგ ბელამი დიეგო პლასენტეზე მაღლა ახტა და თავურით შეაგდო. ხულიო კრუზმა კი ვერონის პასით, მარჯვნიდან დაბალ კუთხეში გაუტანა პოლ ჯოუნსს.

მარკ ჰიუზი განსაკუთრებით ვერონის თამაშით მოიხიბლა: „ის ფენომენალური ნიჭის პატრონია. უბადლო ტექნიკა და მოედნის საოცარი ხედვა აქვს. ასეთ ფეხბურთელებს იშვიათად შეხვდებით" — ამბობს ჰიუზი.

არგენტინამ კი წაუგებელი სერია გააგრძელა. ბიელსას ბიჭები 2000 წლის მაისის შემდეგ აღარ დამარცხებულან.

**სოლომონ ზულისაშვილი**

## ტრაპატონის ბოდიში
### ვილაცას სირბილი დაეზარა

**იტალია 1:0 აშშ**

1:0 დელ პიერო (62)
იტალია: ტოლდო, ფ. კანავარო (სარტორი 82), მატერაცი, იულიანო, ასტა (ძამბროტა 46), ტომაზი (გატუზო 75), კ ძანეტი, კოკო, ტოტი (დონი 46), ვიერი (მარაცინა 46), დი ვაიო (დელ პიერო 46)
აშშ: ფრიდელი, სანე (მეიდუკი 59), ბერჰალტერი, აგუსი, რეგისი, არმასი, ე. სტიუარტი, კ რეინა (ლუისი 80), ჯ. ობრაიენი, ჯ. მური (კიროვსკი 78), დონოვანი (ვოლფი 65)
მსაჯი: ჯოზეფ ატარდი (მალტა)
25 493 მაყურებელი

**იტალიელებმა** ამერიკელებს უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ, შეცვლაზე შესული ალესანდრო დელ პიეროს გოლით მოუგეს. ასეთი ცუდი 45 წუთი „სკუადრა ადურას", რაც სათავეში ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგა, არ ჰქონია. შესაძლოა, ეს ფეხბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატზე გადართული ყურადღების ბრალი იყო და ერთგვარი ექსპერიმენტისაც, დონ ტრაპმა რომ ჩაატარა. ასე იყო თუ ისე, როგორც კი მხცოვანმა მწვრთნელმა მოედანზე იუვენტუსელები, დელ პიერო და ჯანლუკა ძამბროტა შეუშვა, საქმე გამოუსწორდა.

იტალიელებს არ ჰყავდათ დაშავებული მცველები ალესანდრო ნესტა და პაოლო მალდინი.

„ჩემი ფეხბურთელების ერთმა ნაწილმა ამხანაგური თამაში სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო — დაიჩივლა მატჩის შემდეგ ჯოვანი ტრაპატონიმ — კატანიელმა ქომაგებმა ჩვენ დიდი პატივით მიგვიღეს, პასუხად კი იმედის გაცრუება მიიღეს".

აღსანიშნავია, რომ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. კერძოდ, „ტორინოს" ნახევარმცველი ანტონიო ასტა და „კიევოს" თავდამსხმელი მასიმო მარაცინა.

„ასტამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდს რომ გაუჭირდა, იგი ყველა ღონეს ხმარობდა მდგომარეობის გამოსასწორებლად — თქვა დონ ტრაპიმ — მარაცინამ კი მეორე ტაიმს გარკვეული ნაპერწკალი შემატა".

იტალიელთა თავკაცმა საგანგებოდ ვინმეს გამოყოფა არ ისურვა, თუმცა ჟურნალისტებს მიანიშნა, რომ „რომას" გამთამაშებელმა, ფრანჩესკო ტოტიმ მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა:

„პირველი ტაიმი იმიტომაც იყო უვარგისი, რომ მეტოქეს მოედნის შუაში რიცხობრივ უპირატესობას ვაძლევდით ანუ ვიღაც სირბილს ერიდებოდა".

ალესანდრო დელ პიერომ კი თამაში ასე შეაფასა: „გამაკვირვა იმან, რომ ამერიკელებმა პირველ ტაიმში აშკარად გვაჯობეს. შესვენებაზე ვიმსჯელეთ, როგორ უნდა გამოგვესწორებინა მდგომარეობა და ის ცვლილებები გადავწყვიტეთ, რომელმაც საბოლოოდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა".

**ბაჩუნა ძიდია**



REUTERS კატანიიდან

ალესანდრო დელ პიერომ იტალიის ნამუსი შეუნახა

# ამხანაგური მატჩები
# ვინც პირველი გაიტანოს...



ბელგიელმა გერტ ვერჰეიენმა და სტუმარმა ალან ივერსენმა (მარჯვნივ) თავები ბურთისთვის დასარტყმელად ასწიეს

### ბელგია 1:0 ნორვეგია

1:0 ტანგე (82)
ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე, ვან მეირი (კლემენტი 46), ვან ბუიტენი, ვან კერკჰოვენი, სიმონსი (ვანდერჰეგე 77), ვილმოტსი (ტანგე 46), ბოფინი (გოორი 46), სონკი (ვერმანტი 77), ბასეჯიო, ვერჰეიენი
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ბორგერსენი, ჰ. ბერგი (რისეტი 61), ბასმა, ივერსენი (სტრანდი 58), კარეუ (ფლო 64), ლეონჰარდსენი, ანდერსენი, სოლსკიაერი (ი. სორენსენი 74), რიისე
მსაჯი: ჟოაკიმ სილვა (პორტუგალია)
15 000 მაყურებელი

**ბელგიამ** და ნორვეგიამ ისე იჯაჯგურეს, როგორც მათნაირი სტილის გუნდებს ეკადრებათ.

ჩვენმა ძველმა ნაცნობმა და მეტოქემ, რომელსაც ცუდი დროება უდგას, არცთუ ურიგო თამაში აჩვენა. ორივე ტაიმი ორმხრივ შეტევებში გაილია, მაგრამ გუნდებმა ბურთს კარისკენ გზა ვერ გააგნებინეს, სანამ 82-ე წუთი არ დადგა. აქ კი 30 წლის ნახევარმცველმა სტეფან ტანგემ ბრიუსელში შეყრილი გულშემატკივრებიც გაახარა და თავადაც გაიხარა: „ვფიქრობ, ეს გოლი ძალიან დამეხმარება მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაში".

ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბიმ კი ბრძანა: „ვგრძნობდი, რომ მოიგებდა ის, ვინც პირველ გოლს გაიტანდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენ ვერ შევძელით".

### ხორვატია 0:0 ბულგარეთი

ხორვატია: პლეტიკოშა (ბუტინა 46), ტომაში (სიმუნიჩი 70), იარნი (სერიჩი 63), რ. კოვაჩი, შტიმაცი (სოლდო 46), შიმიჩი, სტანიჩი (ვუგრინეცი 46), პროსინეჩკი (რაპაიჩი 46), ვლაოვიჩი (ბალაბანი 46), ტუდორი, ოლიჩი
ბულგარეთი: ზდრავკოვი (დ. ივანკოვი 46), კოშიშევი, პაჟინი (ჯ. მარკოვი 60), რ. კირილოვი, ი. პეტკოვი, ს. პეტროვი, მ. პეტკოვი (იანკოვიჩი 46), პეევი, ბერბატოვი (მანჩევი 46), ბალაკოვი, მ. პეტროვი
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
9 000 მაყურებელი

**ხორვატებმა** გულშემატკივრები ერთობ გააწბილეს. არცთუ ისე ძლიერმა ბულგარელებმა არაფერი დაუთმეს მარად მებრძოლ მასპინძლებს.

ხორვატთა უსახური თამაში იმანაც განაპირობა, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ, თუმცა ვერ ვიტყვით, საგოლე მომენტები არ ჰქონიათო. მასპინძელთა დებიუტანტს, ივიცა ოლიჩს, გორან ვლაოვიჩის კარგი პასის შემდეგ შეეძლო ბულგარელთა დამწუხრება, მაგრამ მეკარე ზდრავკო ზდრავკოვმა იმარჯვა. შეიძლება ითქვას, სტუმრები ბევრად უკეთ, ორგანიზებულად გამოიყურებოდნენ და თავიანთი შანსი მათაც ჰქონდათ.

მირკო იოზიჩი, ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი: „რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვერ ვიქნები, თუმცა ბიჭების უხეირო თამაშს თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. ამ მატჩს, როგორც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელს განვიხილავ. აქ უნდა გამოჩენილიყო რა შეუძლიათ ახალწვეულებს. მაგალითად, ივიცა ოლიჩის დებიუტი ნაკრებში ნამდვილად შედგა. ისე კი, ყველა ფეხბურთელმა საკუთარ ფორმაზე უნდა იზრუნოს".



ბულგარელმა ივაილო პეტკოვმა მარიო სტანიჩს ბურთი საიუტიედ აართვა

### საუდიეთი 0:1 დანია

0:1 სანდი (16)
საუდიეთი: ალ ხოჯალი (ალ დეაია 90), ტაკარი, ალ ზუბრომავი, ალ ჯაჰანი (ალ დუხი 74), ალ შაქრი (ალ ტემიატი 64), ალ შარბი (ალ ვაკედი 59; ჯაჰავი 90), ალ ჯამდი (ალ მოჰამადი 55), ალ ხოსრანი, ალ მეშელი, ალ იამანი (ალ იამი 55), ნოორი (ალ ზაჰრანი 79)
დანია: სტენსენი, ბოგელუნდი, ჰენრიკსენი, მ. ლაურსენი (დ. იენსენი 62), გრავესენი (მ. ნილსენი 46), ტოფტინგი (ა. ნილსენი 79), ნ. იენსენი, ლოვენკრანდსი, რომედალი, ე. სანდი (ნიგაარდი 76), ტომასონი (მიკაელსენი 62)
მსაჯი: ჰამზა შა აბანე (ქუვეითი)
7 000 მაყურებელი

**აშკარად** თვალში საცემი გახლდათ საუდის არაბეთის ნაკრებსა და მის მეტოქე დანიას შორის კლასში სხვაობა. ვიკინგებმა არაბები ჯირითში დალალეს. განსაკუთრებით ფლანგებიდან აწუხებდნენ მენავთობეებს, რამაც მასპინძლებს თავბრუ დაახვია. ისიც აღვნიშნოთ, რომ საუდის არაბეთის ნაკრებს ძირითადი შემადგენლობის ის ექვსი ფეხბურთელი აკლდა, რომლებმაც ამას წინათ ბრაზილიასთან ამხანაგურში ითამაშეს.

როგორც ყოველთვის ჯიგრიანად ითამაშა ებე სანდმა. სწორედ მისი თავურის შედეგად გავიდა ერთადერთი გოლი. რაც შეეხება მასპინძლებს, რაღაცას კი ცდილობდნენ, მაგრამ...

ვიკინგთა მეთაურმა მორტენ ოლსენმა თქვა: „კმაყოფილი ვარ. ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გვყავდა და ჩემი ბიჭების ნაკლოვანებებიც შევამჩნიე. კიდევ იმას ვიტყოდი, რომ მინდორი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, რამაც არც ერთ გუნდს არ მისცა უკეთესი თამაშის საშუალება. ასეთ მინდორზე ძლიერი მეტოქის დამარცხება კი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს".

### პოლონეთი 4:1 ჩრდ. ირლანდია

„მაიამი ჰერალდის" საკალათბურთო კალმოსანი ბერი ჯეკსონი გვიმტკიცებს, რომ „მაიამი ჰითი" ნბა-ში ყველაზე არასტაბილური გუნდია და შესაბამისი არგუმენტებიც ბლომად მოჰყავს. აი, მისი მთავარი დასაყრდენი — „ჰითს" ძალუძს, მოუგოს ყველაზე მაგრებს, „ნიუ ჯერსის", „ლეიკერს", ყველას. ამ დროს კი ოთხიდან სამი თამაში წააგო „კლივლენდთან", „ოლ სტარამდე" კი უსახური „ატლანტაც" შეუშვა მძლეველთა სიაში.

ამავდროულად იგივე ბერი ჯეკსონი თამამად ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ „მაიამი" დანარჩენ 28 გუნდზე სტაბილურია და თავის აზრს სტატისტიკით ამაგრებს: „ჰითმა" დღეისთვის 48 თამაში მოილია, აქედან დაახლოებით 40 ათ ქულაზე ნაკლებით მოიგო ან წააგო. „ეს ის მატჩებია, სადაც გამარჯვებული შეიძლება დამარცხებულიყო და პირიქით. ყველაფერი ერთი-ორმა ჩაგდებულმა და ვერჩაგდებულმა გადაწყვიტა. „ჰითი" ყველაზე სტაბილური კრებულია ლიგაში, ყოველთვის თავის თამაშს თამაშობს. თუ მეტოქემ მოახერხა მისთვის გასაღების მორგება, „ჰითი" მარცხდება. გაცილებით იშვიათად ხდება, ვიდრე სეზონის პირველ ორ თვეში. ბოლო წუთებზე ის რამდენიმე ქულა, რომელიც ამ გუნდს ათიდან შვიდ-რვა მატჩს აგებინებს, მოგვიანებით მისულმა როდ სტრიკლენდმა და ჯიმი ჯეკსონმა მოიტანეს, თორემ დღევანდელი „მაიამი" თითქმის არაფრით განსხვავდება ორი თვის წინანდელისგან, ზედიზედ თორმეტს რომ აგებდა" — წერს ჰერალდელი ჟურნალისტი.

დღევანდელ „მაიამიში" სიტუაციაა განსხვავებულია. უიმედო დაბნეულობა საბრძოლო სულისკვეთებას შეუცვლია. რაც მაიამელებს პატ რაილი თავკაცობს, ისინი არასდროს ყოფილან ასე შემართულები, რადგან პლეი ოფში ვერმოხვედრა არასდროს დამუქრებია მათ თავმოყვარეობას.

ნაოლსტარევს პირველივე ჯახში „ჰითმა" თანაშტატელი „ორლანდო მეჯიქი" დაიბრიყვა. „ჩვენ ამ სეზონში პირველად არ შევასკდით ერთმანეთს. სამწუხაროდ, ამჯერად სულ სხვა გუნდი გვეომებოდა — ამბობს „ორლანდოს" თავი დოკ რივერსი — იგივე მოთამაშეები, თამაშის იგივე მანერა, კომბინაციებიც არაფრით განსხვავდებოდა უწინდელისგან, მაგრამ ამავდროულად ეს იყო სრულიად განსხვავებული მეტოქე, ძველზე ბევრად უფრო მონდომებული და ყოველ ეპიზოდში საოცრად კონცენტრირებული. ამ გუნდს ყველაფერი მილიმეტრებში აქვს გათვლილი. ყველამ ვიცით, ვინაა პატ რაილი, როგორ თამაშობენ მისი გაწვრთნილები. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ჩვენ ისიც ვიცით, რომ ხშირად უძლურები ვართ მის მანქანასთან ომში".

დოკის ბიჭები განწირულები იყვნენ. ძალგულოვნად კი შეებნენ მასპინძლებს, მაგრამ მალევე გახდა ცხადი, რას გამორჩებოდნენ ამ თამაშს. „სიმაღლე და ჯანი გვავალდებულებდა, ფარქვეშეთში იმათიანი არავინ გაგვეჭაჭანებინა, ძირითადად სწორედ ამის წყალობით მოვიგეთ" — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა ცენტრმა ალონზო მურნინგმა. მან, მისმა შემცვლელმა ვოვა სტეფანიამ და მსროლელმა ედი ჯონსმა რვა-რვა ბურთი მოხსნეს და ფარის ბებრებზე მიმნდობი „ორლანდო" ამ კომპონენტში საშინლად დაჩაგრეს — 45:26.

ვოვა სტეფანიას დიდი ხნით არ უთამაშია, ათეული წუთი მიეცა ენერგიის დასახარჯავად და მაღალ მეტოქეებს სულ ოფლი აღინა. ჩვენებური იმ დღეს, ალბათ, ყველაზე მოწადინებული იყო, რადგან „ორლანდოს" ძირითად ცენტრ ჰორას გრანტს ეჭიდებოდა, რომელსაც არცთუ შორეულ წარსულში „სიეტლში" ცვლიდა. სტეფანია რამდენიმე წუთით შეეტოქა ბეხრეკ პატრიკ იუინგსაც, ორი წლის წინ მისი „სიეტლიდან" წასვლის უშუალო მიზეზს. იუინგმა შეხვედრა ოთხი ქულით, სამი მოხსნითა და ოთხი პერსონალურით დაამთავრა.

„კარგი დღე იყო — ნამატჩევს კმაყოფილი ჩანდა „ჰითის" პირველი მექულე ედი ჯონსი — მოვუგეთ გუნდს, რომელსაც უნდა გავუსწროთ ცხრილში. ჩვენ კიდევ ბევრს უნდა გავუსწროთ".

**ნიუ იორკი 89:82 ტორონტო**

ნიუ იორკი: ტომასი (19)

ტორონტო: კლერკი (26 ქულა, 15 მოხსნა), პეტერსონი (25)

**მილუოკი 107:115 კლივლენდი**

მილუოკი: რობინსონი (32), ალენი (27), ტომასი (19)

კლივლენდი: პერსონი (33), მილერი (27 ქულა, 19 პასი), მიურეი (22)

**გოლდენ სტეიტი 92:75 ბოსტონი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (27), რიჩარდსონი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (30 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (13)

**პორტლენდი 114:103 დალასი**

პორტლენდი: ვოლესი (24), ველსი (22 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), სტუდემაიერი (19 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), დევისი (15 ქულა, 13 მოხსნა), პიპენი (13 ქულა, 10 პასი)

დალასი: ნოვიცკი (27), ჰოვარდი (19), მარდევეი (19)

**მინესოტა 107:92 ფინიქსი**

მინესოტა: გარნეტი (33 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), სმიტი (19 ქულა, 10 მოხსნა), პილერი (17)

ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 15 მოხსნა), მარბერი (15 ქულა, 11 პასი)

**შარლოტი 113:91 ჩიკაგო**

შარლოტი: ნეილსონი (24), დევისი (18 ქულა, 12 პასი), მალუა (17 ქულა, 10 მოხსნა), კემპბელი (15 ქულა, 6 დაფარება)

ჩიკაგო: გაიტონი (19)

აღმოსავლეთში მეთორმეტე ადგილს მიყინულ „მაიამის" გუშინწინდელმა გამარჯვებამაც ვერ მოაცვლევინა ფეხი ადგილიდან, რადგან იმ დღეს უქმად არც მისი უახლოესი მეზობელი იყო. ცხრილში უჩვეულოდ ღრმად ჩაყვინთულმა „ნიუ იორკმა" საერთოდ ზომიერად მძლავრი, იმ დღეს კი იოლად მოსარევი „ტორონტო" დასცა და უფრო ქვემოთ ჩაძირვას ამჯერად გადარჩა.

ნიუიორკელთაგან ნაზარალევი ტორონტოელები იმ დღეს არც იყვნენ მაინცდამაინც თავდაჯერებულნი. „დინოზავრთა" რწმენა მათი ლიდერის, ვინს კარტერის ბარძაყის კუნთმა შეარყია, რომელმაც პატრონს ის თამაში გამოატოვებინა და დაახლოებით ერთ კვირაში თუ მისცემს მოედანზე ძველებურად რბენის და ფრენის საშუალებას.

თავს ცუდად გრძნობენ მილუოკელი „ხარირმები". მართალია, ისინი კვლავაც ყინჩად უძღვიან წინ თანადივიზიონელებს, თანაც უახლოესმა მდევარმა ნიუ იორკში წაიბორძიკა, მაგრამ „ხარირემთა" „ჯოგის" მწყემს ჯორჯ კარლს შედეგზე მეტად თამაშის ხარისხი აღელვებს და 13 თებერვალს შეგირდთა შემყურემ ძალიანაც ინერვიულა. მისგან განსწავლული „ხარირმები" ნაოლსტარევს ორ დღეში ორმა ყველაზე უკბილო აღმოსავლელმა.

„მილუოკი" მძლავრი უკანა ხაზით ქებულა, მაგრამ კლივლენდურმა „კავალერიამ" მისი სწორედ ეს რედუტი გადათელა. სტუმართა მსროლელმა ვესლი პერსონმა კარგად ისროლა და იმდენი ქულა შეაგროვა, ოდესღაც დამყარებულ კარიერის რეკორდს შესწვდა, მხოლოდ ვერ გააუმჯობესა. შესანიშნია მისი მეწყვილე ანდრე მილერიც, რომლის მონაგარი ბევრი ქულით და ძალიან ბევრი პასით აღინიშნება. ასე რომ, არ მოგატყუებთ, თუ ვიტყვით, რომ მან „კლივლენდის" თითქმის ყველა ქულაში დაიდო წილი.

„საშინელებაა. არავინ მისმენდა, როცა ჩვენი გუნდის თამაშს ვაკრიტიკებდი, რადგან მაინც ვიგებდით. დღეს ჩვენ ამის გამო ვილაცვებთან ვაგებთ" — ჩივის კარლი და მის წუწუნში არის სიმართლე.

სანამ კარლი „მილუოკის" ჩაიბარებდა, „ხარირმებს" გამარჯვებები და მაყურებლები ენატრებოდათ. დღეს ეს კაცი წუხს, რადგან ხედავს, ძველი დრო ბრუნდება. „ბაქსის" ფაფხურით გულგაწვრილებულმა მილუოკელებმა მატჩის შუაწელიდანვე იწყეს დარბაზ „ბრედლი სენთერის" დაცლა. „მილუოკიმ" შეხვედრა იმ ორიოდ ათასის სტვენის თანხლებით ჩაამთავრა, რომლებმაც ვერ მოასწრეს და დარბაზის ვიწრო გასასვლელებამდე ვერ მიაღწიეს.

და საერთოდ, 13 თებერვალს კიდევ არაერთი გუნდი დაითარსა სუსტ მეტოქესთან ჭიდილში. „გოლდენ სტეიტმა" უიშვიათესი რამ მოიმოქმედა, მოიგო, თან არა ვინმესთან, არამედ „ბოსტონთან" ბრძოლა. „ბოსტონი" ხომ პლეი ოფში დამაბრუნებელ გზას ადგას და „გოლდენ სტეიტებთან", როგორც წესი, არ აგებს. ამ უქმეებზე ფილადელფიაში ყიჟინით ჩავლილ „ოლ სტარში" თავგამოჩენილი ჯეისონ რიჩარდსონი (მან ჩატენვების კონკურსი მოიგო და დამატებით ყმაწვილთა „ოლ სტარის" უძვირფასესობაც წააყოლა ხელს) თავისი გუნდის ერთადერთ ხეირიან მოთამაშეს, ანტუან ჯემისონს შეეშველა და ცხოვრებაში პირველად დააგროვა ერთდროულად ათ ქულაზე და ამდენივე მოხსნაზე მეტი.

პორტლენდურ ქვაკუთხედს წამოჰკრა ფეხი მასპინძელთა რბევაში გაწაფულმა ყველაზე ინტერნაციონალურმა გუნდმა „დალასმა" (ამ გუნდის წარმატებისთვის ხუთი ქვეყნის მოქალაქენი იხარჯებიან). ეს ის „პორტლენდია", ბოლო სამ წელიწადში ორჯერ რომ გასულა დასავლეთის ფინალში და ახლა საშუალოებში ჩამოქვეითებული კვლავ ზევით მიიწევს. „ჩვენ დავბრუნდებით" „დალასთან" არა და წინა შეხვედრის შემდეგ უთქვამს „პორტლენდის" ჩამავალ ვარსკვლავ სკოტი პიპენს.

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
| --- | --- | --- | --- |
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 32 | 16 | 66,7 |
| ბოსტონი | 29 | 22 | 56,9 |
| ვაშინგტონი | 26 | 22 | 54,2 |
| ფილადელფია | 25 | 24 | 51,0 |
| ორლანდო | 26 | 25 | 51,0 |
| ნიუ იორკი | 20 | 29 | 40,8 |
| მაიამი | 19 | 29 | 39,6 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| მილუოკი | 28 | 20 | 58,3 |
| ტორონტო | 29 | 23 | 55,8 |
| დეტროიტი | 26 | 22 | 54,2 |
| ინდიანა | 25 | 26 | 49,0 |
| შარლოტი | 24 | 25 | 49,0 |
| ატლანტა | 17 | 33 | 34,0 |
| კლივლენდი | 17 | 33 | 34,0 |
| ჩიკაგო | 12 | 37 | 24,5 |
| დასავლეთის კონფერენცია | | | |
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| დალასი | 36 | 15 | 70,6 |
| მინესოტა | 34 | 16 | 68,0 |
| სან ანტონიო | 31 | 18 | 63,3 |
| იუტა | 26 | 24 | 52,0 |
| ჰიუსტონი | 17 | 33 | 34,0 |
| დენვერი | 14 | 32 | 30,4 |
| მემფისი | 14 | 36 | 28,0 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| საკრამენტო | 38 | 12 | 76,0 |
| ლეიკერსი | 34 | 13 | 72,3 |
| პორტლენდი | 26 | 23 | 53,1 |
| სიეტლი | 25 | 24 | 51,0 |
| ფინიქსი | 25 | 25 | 50,0 |
| კლიპერსი | 25 | 26 | 49,0 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 32 | 31,9 |



REUTERS-ის ფოტო

ოტელა ჰარინგტონი თავის ნიუიორკიანად მოაჯდა მორის პეტერსონს და მის „ტორონტოს"

# რუზეცკიმ იოჰანსონი ჩააეილა სექსგოგო ჩოქბჯენში



ვინუს უილიამსმა ანა კურნიკოვა ანტვერპენიდან გააბრუნა

### მარსელი. ჰარდი
### საპრიზო 476 ათასი $

გრეგ რუზეცკი და ტომას იოჰანსონი წილისყრამ ბოლო ოთხ დღეში მეორედ შეჰყარა ერთმანეთს. პირველი შეხვა, რომელსაც, ეგებ გახსოვდეთ და, ბრიტანეთსა და შვედეთს შორის დევისის თასის მეოთხედფინალში გამსვლელი ნაკრები უნდა გაერკვია, წლევანდელი მეავსტრალიეს გამარჯვებით დასრულდა. მეორე პაექრობა უკანასკნელ გეიმამდე პირველის გამეორება გახლდათ — კვირის მსგავსად, ბრიტანელი ამჯერადაც 6:4, 3:6, 5:3 იგებდა. მაგრამ, თუკი იმ დღეს იოჰანსონმა სასწორის თავისკენ გადახრა მოახერხა, გუშინწინ რუზეცკის მომგები ბარე ორი კაცი არ იყო. ანდა როგორ იქნებოდა, როცა ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ თავის პირველ ტურნირზე მოთამაშე შვედს მან 18 მარტო ეისი აგემა! „ჰო, ჩაწოდებები მართლაც კაცური გამომივიდა. ჩემი გეგმაც ეგ იყო — კარგად ჩამეწოდებინა და მერე ბურთი ბადესთანვე ჩამეკლა" — რუზეცკი ნამატჩევს კმაყოფილებას ვერ მალავდა.

იოჰანსონი ძალიან დამწუხრებულად არ გამოიყურებოდა. „დღეს ორივემ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ როცა გრეგი ეგრე აწოდებს, მასთან შეტოქება შეუძლებელია. პირველ სეტში ერთი გეიმი მე თვითონ ჩავაბარე, მესამეში კი ერთი თვითონვე წამართვა. საერთოდაც, თიხნარის მერე ეს საფარი საოცრად მესწრაფა და ჩოგანი იქნებ ამიტომაც ვერ შევუბრუნე" — თქვა მან.

მომდევნო წრეში რუზეცკი ფრანგ ფაბრის სანტოროს შეხვდება.

გამარჯვებით აღნიშნა 22-ე დაბადების დღე პირველ ნომრად განთესილმა ესპანელმა ხუან კარლოს ფერეირომ. მიხაელ კრატოხვილი მას მხოლოდ მეორე სეტში თუ გაედავა. უფრო გაუჭირდა მეორედ განთესილ რუს კაფელნიკოვს, ვისაც „მხეცი" ბელარუსის მაქს მირნის დამორჩილება მოუხდა. ტურნირის ოთხი წლის წინანდელი ფინალისტი რუსი ახლა ამავე ტურნირზე 1999 წლის ფინალში სანტოროსაგან ძლეულ ფრანგ არნო კლემანს შეეყრება. ამ მატჩს ყველა დიდი ინტერესით ელის.

მარსელის ორგზის (1997-98) ჩემპიონ შვედ ტომას ენკვისტს მერვედფინალში გასაღწევად ესპანელ კლავეტთან 1:6 წაგებული მეორე სეტის შემდეგ აზრზე მოსვლა და გახელება დასჭირდა. ვერაფერმა უშველა ფალარათით შეპყრობილ ბრიტანელ ტიმ ჰენმანს, რომელსაც, წესით, უცნობი ფრანგი ნიკოლა მაუ უნდა დაენგრია. მაუ სანაცვლოდ ბრიტანელის მაგიერ ხმობილმა 24 წლის უცნობმა ფრანგმავე მარკ ჟიკელმა მოინელა 6:4 6:3. ახლა ჟიკელი სახელიან თანამემამულე ნიკოლა ესკუდეს დაუპირისპირდება.

შეუპოვარ მაროკოელ იუნეს ელ აინაუის გრიპმა დარია ხელი, თორემ ბებერ სედრიკ პიოლინს ჩოგანს არც გაანძრევინებდა. სწორედ ამის ბრალიც იყო ის ამბავი, რომ მეორე წრეში მასპინძლებს ერთბაშად რვა მოთამაშე დაუგროვდათ. ATP-ის ტურნირზე ასეთი გაუგებრობა მარსელის 1999 წლის პირველობის შემდეგ აღარ მომხდარა.

**გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — ტომას იოჰანსონი (4, შვედეთი) 6:4, 3:6, 6:3; ხუან კარლოს ფერეირო (1, ესპანეთი) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 7:5; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:5, 7:6 (7:4); სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:4, 6:2; ჰიშამ არაზი (8, მაროკო) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:2; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 1:6, 6:2; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:4, 2:1 (ელ აინაუიმ გრიპის გამო თამაში ვეღარ გააგრძელა)**

### კოპენჰაგენი. ჰარდი
### საპრიზო 400 ათასი $

გვაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ გერმანელმა ნიკოლას კიფერმა წლეულს ნათამაშევი 5-ვე შეხვედრა მარცხით დაასრულა. მისი ბოლო მძლეველის, სამხრეთაფრიკელი ნევილ გოდვინის შესახებ ალბათ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მომდევნო შეხვედრასაც გერმანელთან, ამჯერად ლარს ბურგმიულერთან გამართავს.

კიფერისგან განსხვავებით სეზონი ძალზედ წარმატებით დაიწყო იტალიელმა სანგვინეტიმ, ვინაც, სანამ მილანის ტურნირის მოგების შემდეგ კოპენჰაგენში ჩავიდოდა, გზად ვროცლავში გაიარა და იქაურ ისე-რა პირველობაზეც იმარჯვა. მას 11 შეხვედრაა, არ წაუგია და, რამდენადაც მეორე წრეში 28 წლის დანიელ კენეტ კარლსენს შეეხლება, ალბათ მე-12 გამარჯვებასაც მიითვლის.

და კიდევ — ტურნირს ფასი შემატა ვეტერანი შვედის, კოპენჰაგენის 1992 წლის ამკლების, მაგნუს ლარსონის მონაწილეობამ. [illegible] შარშანწინდელი ჩემპიონის, თითქმის [illegible]ას ვინსიგერას გავარდნის გამო მიიღო. მე-5 ნომრად განთესილი რუსის მიხაილ იუჟნის ძლევა მან თითქოს უპრობლემოდ მოახერხა.

**ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) — ნიკოლას კიფერი (3, გერმანია) 6:3, 3:6, 6:4; დავიდე სანგვინეტი (4, იტალია) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 6:7 (1:7), 6:1, 6:2; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — მიხაილ იუჟნი (5, რუსეთი) 4:6, 6:3, 6:4**

### ანტვერპენი. ხალიჩა
### საპრიზო 585 ათასი $

როგორც მოსალოდნელი იყო, ვინუს უილიამსს ანა კურნიკოვას ხალიჩიდან დათხოვნა არ გასჭირვებია. რუსმა სექსგოგომ კარგად თამაშის უნარი მხოლოდ პირველ სეტში აჩვენა, როცა რვაჯერ (ეგრემც გამოუყენებელი) ბრეიკპოინტი გააჩაღინა და ვირგლა მეტოქეს რამდენიმე გეიმი გადასარჩენად გაუხადა. მერე კი მომენტი შეიცვალა და ვინუსმაც უკვე ნირწამხდარი და რაღაცნაირად ინტერესდაკარგული კურნიკოვა ჩოქბჯენში გადაიყვანა...

„პირველ სეტში მართლაც კარგად ითამაშა და არცთუ ბევრი შეცდომა დაუშვა. პირიქით, მე უფრო მეტს მივქარავდი. მაგრამ მეორეში გავილაღე და რაღაი ანაც გატყდა, ყველაფერი მალე მომთავრდა", — თქვა უილიამსმა. თავად ანამ კი რაღა? არც არაფერი. უკვე დამკვიდრებული წესისამებრ, ჯერ ფორმაში არა ვარ და, როცა შევალ, მერე ვნახოთო, ეგრე თქვა და ამას კიდევ ბევრი ქილიკი რამეც მიაყოლა. თუმცა, რაც ანას ეპატიება, არ ეპატიება სხვას. ანტვერპენელი წვრილფეხობისთვის ის მაინც ყველაზე კარგ მოგონებად დარჩება...

სხვაფრივ, იქაურები საკუთრივ შიდაბელგიური შეხლის ცქერასაც ეშურებოდნენ. შეხლა არ შედგა — ტურნირზე მეორედ განთესილმა და მსოფლიოს მე-9 ჩოგნის მქნეველმა ჟუსტინ ენენმა ნორჩი თანამემამულე კალენსი საქმის ვითარებაში ცოტათი ძალ გაარკვია და ახლა ამერიკელი მეილენ ტუს გამგდებ მაგდალენა მალეევას გარკვევას ეცდება.

**პირველი წრე**

**მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:4**

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 7:5, 6:0; ჟუსტინ ენენი (2, ბელგია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:1, 6:4; მაგდალენა მალეევა (6, ბულგარეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:3; ევა დირბერგი (დანია) — ანე კრემერი (7, ლუქსემბურგი) 7:6 (7:5), 7:6 (11:9)**

**ლევან ქელაურაძე**



# კეთილი ბატონი ზაუბერი შარშანდელს აპირებს

## ზაუბერი

**დაარსდა 1970 წელს**
**ფორმულა 1-შია 1993 წლიდან**
**გუნდის უფროსი და მთავარი აღმასრულებელი: პეტერ ზაუბერი**
**ტექნიკური დირექტორი: ვილი რამპფი**
**მთავარი მოტორისტი: ოსამუ გოტო**
**ბოლიდი: „ზაუბერ C21"**
**(სიგრძე 4,45 მ; სიგანე 1,47 მ; სიმაღლე 1,0 მ)**
**ძრავა: „პეტრონას 02A"**
**საბურავები: ბრიჯსტოუნი"**
**146 რბოლა; 111 ქულა**
**კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — IV (2001)**
**მთავარი სპონსორები: პეტრონასი, კრედიტ სუისი, რედ ბული, ბრიჯსტოუნი, დაიმლერ-კრაისლერი, ერიქსონი, მანეტი მარელი, მაიკროსოფტი, კატია, იტალდიზაინი, ვალტერ მაიერი, ჰერმან ბუბეკი, MTS სისტემები, BBS.**




**ნიკ ჰაიდფელდი**
**გერმანია**

**დაიბადა 1977 წლის 10 მაისს მიონხენგლადბახში. ცხოვრობს მონტე კარლოში**
**სიმაღლე 175 სმ, წონა 70 კგ**
**უცოლო**
**დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)**
**33 რბოლა, 12 ქულა**
**ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მერვე ადგილი (2001, 12 ქულა)**
**ასპარეზობდა „პროსტში" (2000)**
**„ზაუბერშია" 2001 წლიდან**




**ფელიპე მასა**
**ბრაზილია**

**დაიბადა 1981 წლის 25 აპრილს სან პაულუში**
**უცოლო**
**ფორმულა 1-ის დებიუტანტი**



„ზაუბერის" ტრადიციული შოუ-პრეზენტაცია: გუნდი, ბოლიდი, ქალები

შვეიცარიელი ბიზნესმენი პეტერ ზაუბერი სამი ათეული წელია, ავტოსპორტში საქმიანობს. პირველად იყო „პროტოტიპების" კლასში რამდენიმე წარმატებული სეზონი. ბოლიდის საჭეს ერთხანს თავად შეფიც უჯდა და პირველივე სეზონში, 1970 წელს, შვეიცარიის ჩემპიონიც გახდა. მაგრამ მისი სარბოლო კარიერა მალევე შეწყდა: ერთი სერიოზული ავარიის შემდეგ მოსიყვარულე მეუღლემ კატეგორიულად განუცხადა — როგორი მანქანებიც გინდა, გააკეთე, საჭეს კი აღარასოდეს გაეკარებიო.

მერე და მერე მომწიფდა ყველაზე პრესტიჟულ კლასში ძალების გამოცდის საკითხიც და 1993 წლიდან პეტერ ზაუბერის ბედაურები სამეფო რბოლებში გამოჩნდნენ. ამ ცხრა სეზონში „ზაუბერი" უიმედო აუტსაიდერი ერთხელაც არ ყოფილა, თუმცა ციდან ვარსკვლავებსაც არასოდეს წყვეტდა. ლამის ყველა საფორმულო ბოსისგან განსხვავებით, ზაუბერი მორიდებული, მშვიდი, ოდნავ სენტიმენტალური პიროვნებაც კია, რის თაობაზეც მის კოლეგებს არაერთხელ საკმაოდ მწარედ უხუმრიათ — იგი ზედმეტად კარგი ადამიანია საიმისოდ, რომ ფორმულაში წარმატებას მიაღწიოსო.

ჰერ პეტერი ტრადიციას არ ღალატობს და ყოველ ახალ ბოლიდს თავისი ერთგულესი მეუღლის — კრისტინას სახელს არქმევს. წლეულს ეს გახლავთ C21, მოდელი, რომლისაც შეფს ძალიან ეიმედება. წინამორბედისგან მკვეთრად განსხვავებული მანქანის შესაქმნელად მთავარმა ტექნიკოსმა ვილი რამპფმა არაერთი ღამე გატეხა და გუნდიც სულ მცირე, შარშანდელი შედეგის გამეორებას ვარაუდობს. 2001 წელს კი ეს იყო „ზაუბერის" ცხრაწლიან ისტორიაში უმაღლესი, მეოთხე ადგილი კონსტრუქტორთა თასზე სამი უმთავრესი საფორმულო ბობოლის — „ფერარის", „მაკლარენისა" და „უილიამსის" შემდეგ. მსგავსი შედეგი ხსენებული დიდი სამეულის გარდა, ყველასთვის ოცნების ზღვარია. არადა, ასეთ წარმატებას, ალბათ, თავად პეტერ ზაუბერიც არ მოელოდა. მან ხომ საჭე ბრძოლაში გამოუცდელ ახალბედებს — ნიკ ჰაიდფელდსა და კიმი რაიკონენს ანდო.

წლეულს ის ტანდემი დაიშალა: ფინელმა რაიკონენმა „მაკლარენს" მიაშურა, სადაც ფორმულას დროებით გარიდებული თანამემამულე მიკა ჰაკინენი შეცვალა. ჰაიდფელდს მეწყვილედ 20 წლის დებიუტანტი, ბრაზილიელი ფელიპე მასა ეყოლება. გაუმართლებს თუ არა შვეიცარიელ შეფს ზედიზედ მეორედ, მალე შევიტყობთ.

**გია ახალაძე**

ბიათლონი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ოლე ეინარ ბიორნდალენი

# ხალხი მაღაზეა
# ოლე, მოგვეცი ოთხი ოქრო!
## წითელქუდამ ზღაპარი მოიწყო

**ჭკვიანმა** ჟურნალისტებმა უმალ სტატისტიკა მიაგებეს ოლე ეინარ ბიორნდალენს, როგორც კი მან ბიათლონში ზედიზედ მეორე ოლიმპიური დისციპლინა მოიგო. ითქვა, რომ ნორვეგიელმა 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა და 10-ზე სპრინტი ხომ მოიგო, ამას 12,5-კილომეტრიანი გამოდევნებაც თუ მიამატა, პირველი ბიათლონისტი გახდება, ვისაც ზამთრის ოლიმპიადა სამი ოქროს მედლით დაუტოვებია. მთლად უნიკალური შემთხვევა იქნება, თუ ნორვეგიის ნაკრებიც მოიგებს ესტაფეტას — ეს ბიორნდალენის ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონობას ნიშნავს.

ამ ცნობებს ბიორნდალენისთვის ძარღვი არ აუტოკებია. ეტყობა, მას სტატისტიკა კი არა, ღლევანდელობა აინტერესებს და თავისი ფორმით კმაყოფილებას არ მალავს, განსაკუთრებით სროლის საკითხში, რაშიც ტრადიციულად მოისუსტებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოლიმპიადაზე რიგიანად ვისვრი — თქვა ბიორნდალენმა 10 კილომეტრზე სპრინტის მოგების შემდგომ, როცა მან 2 სროლა გააცუდა — წლეულს თოფს ძირითადად უხეიროდ ვხმარობდი, მაგრამ წვრთნის მეთოდი შევცვალე, უფრო კონცენტრირებული გავხდი და შედეგიც მივიღე".

გამარჯვებულს ისიც ჰკითხეს, ზღვის დონიდან თითქმის 2000 მეტრზე სრიალს როგორ შეეგუეთო. უნდა ითქვას, რომ არც ნორვეგიაა მაინცდამაინც თოვლიანი ტრამალების ქვეყანა, მაგრამ ბიორნდალენს სხვა პასუხიც ჰქონდა. „ზღვის დონიდან ძლიერ მაღლა სრიალი ჩემთვის საამოც კია — განაცხადა მან — ძირითადად ალპებში ვვარჯიშობ და ადაპტაცია თითქმის არ დამჭირვებია".

იქ, მაღალ ალპებში, ბიორნდალენის გელფრენდი ცხოვრობს, ასევე ბიათლონისტი, იტალიელი ნატალი სანტერი. ერთობლივი ვარჯიშების შედეგი სახეზეა.

ბიორნდალენს გვარიანი შანსი აქვს, 12,5 კილომეტრზე გამოდევნებაც მოიგოს და არა მარტო იმ მიზეზით, რომ მაგარია — 10-კილომეტრიანი სპრინტი და 12,5-კილომეტრიანი გამოდევნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ეს ნიშნავს, რომ პირველი დისციპლინის გამარჯვებული დროში უპირატესობას მეორე დისციპლინაში ინარჩუნებს და ახლა ბიორნდალენს 28,9-წამიანი ფორა აქვს.

ასეთივე ამბავია ქალებშიც. გუშინ გერმანელმა კატი ვილჰელმმა 7,5 კილომეტრზე სპრინტი მოიგო და 10 კილომეტრზე გამოდევნებისთვის 15,6 წამი აქვს მარაგში. ვილჰელმი გახლავთ წითელქუდა გოგო, რომელიც ნაგანოს ოლიმპიადაზე უბრალოდ მოთხილამურე იყო და პროფესიის შეცვლა ერთობ წაადგა. ბიათლონმა მას შესძინა ოქროს მედალი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის სპრინტში და ვერცხლი — ესტაფეტაზე. გუშინდელი ოლიმპიური ოქრო ხომ თავისთავად. ცხადი ხდება, რომ ვილჰელმის მოწოდება უფრო სროლაა, ვიდრე სრიალი — გუშინდელ გამარჯვებასაც უფრო იმას უნდა უმადლოდეს, რომ ერთი ტყვიაც არ ააცილა.

მსოფლიოს თასის ლიდერი, შვედი მაგდალენა ფორსბერგი ოქროს მეორედ ასცდა და მეორედაც ბრინჯაო ჩამოჰკიდეს. სისწრაფე სისწრაფედ, მაგრამ ბიათლონში სიზუსტეც პრინციპული საქმეა.

**დავით გულუა**

ვაჟები

10 კმ სპრინტი

1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 24.51,3
2 სვენ ფიშერი (გერმანია) 25.20,2
3 ვოლფგანგ პერნერი (ავსტრია) 25.44,4

ქალები

7,5 კმ სპრინტი

1 კატი ვილჰელმი (გერმანია) 20.41,4
2 უშლი დიზლი (გერმანია) 20.57
3 მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 21.20,4




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კატი ვილჰელმი

ტრამპლინიდან ხტომა

# ამანის გიჟური კვირა
## შვეიცარია მეორე საქართველოა: ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის მშობლებს ტელევიზორი არა აქვთ

**გუშინ** შვეიცარიელმა ყმაწვილმა სიმონ ამანმა მეორე ოლიმპიური ოქრო დათესა, შედეგს კი მოიმკის და მერე როგორს — მისი თანასოფლელები სრულიად გიჟური ზეიმისთვის ემზადებიან.

სოფელს უნტერვასერი ჰქვია, შვეიცარიის აღმოსავლეთშია და იქ სილარიბე ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტის დამალვას არ ვაპირებთ — ამანის მშობლებს ტელევიზორი არა აქვთ და თავიანთი შვილის ზედიზედ მეორე გამარჯვებას მეზობელთან უყურეს. სოფელში ბლომად იყვნენ გერმანელი ტურისტებიც, რომლებიც სვენ ჰანავალდის მხარეს იყვნენ და მოკლედ, როცა ჰანავალდმა 120-მეტრიანი ტრამპლინიდან თავისი გადამწყვეტი ნახტომი მეტი აგრესიულობით გააფუჭა, უნტერვასერში შეყრილი საზოგადოების ნაწილმა მხიარულად იღრიალა, ნაწილმა — ამოიგმინა. 20 წლის ამანი მეორედაც გაფორმდა ოლიმპიურ ჩემპიონად და ეს სენსაცია კი არის, მაგრამ სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ამის წინაპირობა არსებობდა.

ამანი ტრამპლინით 11 წლისა დაინტერესდა და წლინახევრის შემდეგ ტოგენბურგის რეგიონის ნაკრებში მოხვდა. გამოვიდა ნაგანოს ოლიმპიადაზე, ორივე ტიპის ტრამპლინზე სადღაც 30-ე ადგილები დაიკავა, მაგრამ წლევანდელ მსოფლიოს თასზე ამანი აღარ იყო ის მეტრამპლინე, ვისაც ყველა უთაქებს: ორი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავა, ანუ მისი ევოლუცია საჭირო გზით მიდიოდა, მაგრამ ოლიმპიადის მოგება მეტისმეტი იყო.

„გადარეული კვირა გამოვიდა — თქვა ბავშვური გარეგნობის ამანმა პრესკონფერენციაზე — არ მეგონა, თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. წარმომიდგენია, როგორ დამხვდებიან შვეიცარიაში. მიხარია, რომ ჩემს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობას პოპულარობას ვმატებ".

პოპულარიზაცია კი ტრამპლინიდან ხტომას ამანის სამშობლოში დიახაც სჭირდება. შვეიცარიას აქამდე არ ჰყოლია ტრამპლინის ოლიმპიური ჩემპიონი და როგორც შედეგი, იქ ერთი 120-მეტრიანი ტრამპლინიც არ არის ზაფხულის წვრთნებისთვის (90-იანები აქვთ). ამანის ტრიუმფი ამ მიმართულებით დიდი ძვრების დაწყებას უნდა მოასწავებდეს.

**დავით გულუა**




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სიმონ ამანი მეორედაც ტრიუმფით გაფრინდა

K-120 ინდივიდუალური

1 სიმონ ამანი (შვეიცარია) 281,4 ქულა
2 ადამ მალიში (პოლონეთი) 269,7
3 მატი ჰაუტამაკი (ფინეთი) 256

სამთო თხილამურობა

# ამოდტმა და მილერმა ქართულად ილაპარაკეს
## კაცური სიყვარული, ჩახუტება და მთელი ამბავი

**სნოუბეისინში,** „ველურ ყვავილთა ფერდობად" წოდებულ სამთოსათხილამურო სარბიელზე, გუშინ ძალიან არაპოპულარული შეჯიბრება, კომბინაცია გაიმართა. კომბინაცია ყველაზე ჩქარი და ყველაზე ტექნიკური დისციპლინების — სწრაფდაშვებისა და სლალომის ჯამია, ამიტომ არც ერთის მიმდევრებს უყვართ და არც მეორისა. მასში მეტწილად უნივერსალები იმარჯვებენ და ასეთია კეტილ ანდრე ამოდტიც, რომელიც გუშინ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ათი წლის წინ, ალბერვილის ოლიმპიადზე ამოდტმა სუპერგიგანტი მოიგო და მას მერე ყველა ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე კარგა 15 მედალი დააგროვა, გუშინდელი მე-16 იყო. 30 წლის ბრეჟნევს დამსგავსებული ნორვეგიელი ბედს და ჯანს არ უჩივის და, თუ თავში აგური არ დამეცა, ტურინის ოლიმპიადაზეც გამოვალო.

ერთადერთი დიდი შეჯიბრება, რომელიც ამოდტმა უმედლოდ დატოვა, ნაგანოს ოლიმპიადა გახლდათ. სოლტ ლეიკ სიტიში სწრაფდაშვება ნორვეგიელმა მეოთხემ დაასრულა. „ვიფიქრე, ნაგანოს ისტორია ხომ არ მეორდება-მეთქი — ამბობს ამოდტი — მაგრამ თავს ვუთხარი, რომ არა და არა, ეს არ მოხდება!"

პრესკონფერენციაზე ერთად ისხდნენ ამოდტი და ვიცე-ჩემპიონი ბოდე მილერი. ჯერ მილერმა დაიწყო.

„თუ მედლების რაოდენობით ვიმსჯელებთ, ის მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეა — განაცხადა მილერმა ამოდტის შესახებ — ცოტა ვიცი, ვინც ელიტაში ამდენხანს გაძლო, რადგან თხილამურობა უძნელესი სპორტია".

„შენი ჭირიმე — დაახლოებით ასე უპასუხა ამოდტმა — სამაგიერო ჩემზეა".

მოგვიანებით, როცა მილერი პრესკონფერენციაზე აღარ იყო, ახლა ამოდტმა გაუმხილა ჟურნალისტებს, რომ ამერიკელ ყმაწვილს უღრესად აფასებს.

„მილერმა თხილამურობის სტილში რევოლუცია მოახდინა — ამოდტის აზრია — მასავით ჩქარა სლალომს და გიგანტურ სლალომს ვერავინ სრიალებს და კლასით ალბერტო ტომბას მაგონებს. ამბიციური ყმაწვილია და თუ ასე გააგრძელა, საუკეთესო გახდება!"

ყველა, ყველა და, ჰერმან მაიერი?

ვაჟები

კომბინაცია

სწრაფდაშვება + სლალომი

1 კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 3.17,84
2 ბოდე მილერი (აშშ) 3.17,84
3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 3.18,26




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კეტილ ანდრე ამოდტმა მედლების კოლექცია შეივსო

ციგაობა

ქალები. ინდივიდუალური

1 ზილკე ოტო (გერმანია) 2.52,464
2 ბარბარა ნიდერჰუბერნი (გერმანია) 2.52,785
3 ზილკე კრაუსჰაარი (გერმანია) 2.52,865

შორტ ტრეკი

ქალები. 1 500 მეტრი

1 გი ჰიუნ კო (სამხრეთ კორეა) 2.31,581
2 ეუნ კიუნგ ჩოი (სამხრეთ კორეა) 2.31,610
3 ევგენია რადანოვა (ბულგარეთი) 2.31,723

ჰოკეი

# მისცემენ ბელარუსები რუსებს?

**B ჯგუფი**

**ბელარუსი 1:2 შვეიცარია 0:1 1:1 0:0**

ბელარუსებისთვის ამ თამაშს არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მათ მეორე ეტაპზე გასვლა უკვე გაინაღდეს. ამიტომაც, წინა ორი მატჩისგან განსხვავებით, დაცვაში არც ისე ყურადღებით ირჯებოდნენ და, პირველად ამ ტურნირზე ერთ გოლზე მეტი გაუშვეს. აი, აწი კი ასეთი შედეგით მარცხი ბელარუსს დიდ მიღწევად ჩაეთვლება.

**უკრაინა 4:2 საფრანგეთი 2:0 2:2 0:0**

კვლავ გამოირჩნენ უკრაინელი ნჰლელები, ოღონდ ამჯერად ვაშინგტონელი დმიტრი ხრისტიჩი და ტორონტოელი ოლექსი პონიკაროვსკი. ერთიც ექსპროფესიონალმა იგორ ჩიბირევმა დაამატა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 5:3 | 4 |
| უკრაინა | 2 | 0 | 1 | 9:5 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 7:9 | 3 |
| საფრანგეთი | 0 | 1 | 2 | 6:10 | 1 |

*ამრიგად, მომდევნო ეტაპზე (15-18 თებერვალი) C ჯგუფში ჩეხეთი, კანადა, შვედეთი და გერმანია, ხოლო D ჯგუფში რუსეთი, აშშ, ფინეთი და ბელარუსი იასპარეზებენ.*

**ქალთა ტურნირი**

**A ჯგუფი**

**კანადა 7:0 რუსეთი 2:0 2:0 3:0**

**შვედეთი 7:0 ყაზახეთი 3:0 2:0 2:0**

# თეთრი ამბები

## მსაჯებო ყველა ქვეყნისა, აზრზე მოდით!




ანტონ სიხარულიძისა და ელენა ბერეჟნაიას მიერ მეფიგურსრიალე წყვილთა შორის მოპოვებული ოქროს მედლების გამო ატეხილი ოლიმპიური სკანდალი კვლავაც არ ცხრება. ატლანტიკისგადაღმა მედიამ ამ დღეებში ერთი ამბავი ატეხა — აქაოდა, რუსთა გამქაჩავ ფრანგ მსაჯს რუს მსაჯთან მოულაპარაკია, რომ ეს უკანასკნელი ფრანგის მიერ სიხარულიძე-ბერეჟნაიას მხარდაჭერის სანაცვლოდ მოცეკვავეთა განყოფილებაში გვენდალ პეიზერასა და მარინა ანისინას ფრანგულ წყვილს მიემხრობოდა.

ამ და სხვა თანმხლებ კითხვებზე პასუხების გასაცემად ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ოტავიო ჩინკვანტამ ოთხშაბათს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

კითხვაზე, მიიღო თუ არა ფედერაციამ ამერიკელი მსაჯის რონ პფენინგის საჩივარი (მსაჯთა არაკეთილსინდისიერი ქმედებების შესახებ), სენიორ ჩინკვანტამ უპასუხა, რომ „დიახ", ხოლო კითხვას, ჰქონდა თუ არა ადგილი მსაჯებს შორის გარკვეულ გარიგებას, მან ასეთივე ცალსახა უარით მიუგო.

მან ასევე ცალსახად გამორიცხა ორშაბათის შედეგების შეცვლის შესაძლებლობა: „მე მსაჯთა მსაჯი არ გახლავართ, მე მხოლოდ ცსფ-ის პრეზიდენტი ვარ" — თქვა მან.

თუმცა ოდნავ მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული კატეგორიული განცხადება მან ოდნავ შეარბილა და თქვა, რომ, მართალია, ეს „ძალიან, ძალიან ძნელი იქნება" მაგრამ „შეუცვლელი არც მსაჯთა გადაწყვეტილებაა".

„თუკი მათ რამე მიქარეს, ჩვენ ძალიან, ძალიან მკაცრნი ვიქნებით", — დასძინა ძალიან, ძალიან პრეზიდენტმა ჩინკვანტამ.

იქვე გაირკვა, რომ ცსფ მზადაა, უახლოეს მომავალში საერთოდაც სამსაჯო ინსტიტუტის რევიზიაზე იმსჯელოს. „ჩვენ უნდა შევზღუდოთ გაუგებრობათა შესაძლებლობა ამ სფეროში" — თქვა მახვშმა.

მისი ამ პრინციპული პოზიციის კვალობაზე კანადის ციგურაობის ფედერაციამ ცსფ-ში საჩივრის გაგზავნა არჩია. კანადური ოფიციოზი იმედოვნებს, რომ „ჟამი სალესა და დავიდ პელეტიეს ოქროს მედლები ჯერაც არ დაუკარგავთ".

„ჩვენი მიზანი ის კი არაა, ვინმე დავამციროთ, ჩვენი მიზანი ისაა, დაუმსახურებლად დამცირებულნი ავამაღლოთ" — ამბობენ კანადელი ჩინოვნიკები.

მათი საჩივრის საპასუხოდ ცსფ-მ ფიცხლივ გამოძიება დანიშნა. მეფიგურსრიალე წყვილთა ავ-კარგის განმსჯელთა პატიოსნებას საგანგებოდ გამოყოფილი „მუშა კომისია" 18 თებერვლამდე გაარკვევს.

სხვათა შორის, მთელ ამ აყალმაყალს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მახვშთა მახვში, ჟაკ როგიც შეეხმიანა და ცფს-ს „დაუყოვნებლივ ჩარევა" მოსთხოვა. „ამ ამბის გადამკიდე უკვე ყველას ყველაფერში ეჭვი ეპარება" — აი, ასეთი იყოს სოკ-ის წერილის დედააზრი.

ამის პასუხად ოტავიო ჩინკვანტამ სრულიად სოკ-სა და კერძოდ მის პრეზიდენტ ჟაკ როგსაც გახურებული თავების დაგრილებისა და სხვა ეგეთი რამე-რუმეებისაკენ მოუწოდა: „18 თებერვლამდე ვერაფერს გეტყვით. მანამდე კი — თავი დაგვანებეთ!".

ხოლო ყველაფერი ჟამი სალესა და დავიდ პელეტიეს მიერ CNN-ზე, აჭიმებიანი ბერიკაცის ლარი კინგისთვის მიცემული ინტერვიუთი დაგვირისტდა. „როცა ჩვენი ქულები გამოაცხადეს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კუჭში ხიშტი შემიყარეს, — თქვა პელეტიემ — ყოველი 100 ქომაგიდან, ვინც ამ დღეებში წერილი მომწერა, 75 ამბობს, რომ ამიერიდან აღარასოდეს შეხედავს ფიგურულ სრიალს".

მსაჯებო ყველა ქვეყნისა, აზრზე მოდით!

**ბონდო გუდაური**

# ბეტმენი ოლიმპიადას ემუქრება

## ლიგის ბონზებმა საწყალ ჰოკეის ყურზე ხელი წაატანეს

**2002 წლის** ოლიმპიადა შესაძლოა, ბოლო გამოდგეს ნჰლ-ის წარმომადგენლებისთვის — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა გუშინ შვედურმა გაზეთმა „სვენსკა დაგბლადეტმა", რომელიც როგორც თავად წერს, საიმედო წყაროებს ეყრდნობა. ნჰლ-ს განუზრახავს, შეწყვიტოს თანამშრომლობა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციასთან და 2006 წლის ოლიმპიადაზე ჰოკეისტები აღარ გაუშვას.

ამის საბაბი უპირველეს ყოვლისა ლიგის მკაცრი კრიტიკა ყოფილა, რომელიც სლოვაკეთის ნაკრების ფიასკოს მოჰყვა. იქნებ სლოვაკი მოთამაშეებისა და მათი თავკაცების გულისწყრომისა და ემოციური გამოსვლებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არც მიექციათ, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის (IIHF) პრეზიდენტ რენე ფაზელის კომენტარებმა მთლად გააცოფა გერი ბეტმენი და კომპანია.

და მაინც, რა თქვა ასეთი ფაზელმა? მართალია, მას პრესკონფერენციაზე ნჰლ პირდაპირ არაფერში დაუდანაშაულებია, მაგრამ მისი მინიშნებებიდან აშკარად ჩანს, ვის მოელაპარაკება:

„რა მოსაწონია, როცა გუნდს 13-კაციანი შემადგენლობით უწევს თამაში. რაღაც უნდა შეიცვალოს. ნჰლ-თან კონტრაქტშიც აღნიშნულია, რომ სასურველია მათ ვადამდე გამოუშვან ჰოკეისტები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მათ ნაბიჯები გადადგეს... ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაცია ითხოვდა, ჩემპიონატი 5 დღეზე მეტი ვადით შეწყდეს, მაგრამ გარიმ უარი თქვა. თუ რატომ, ჯობს მას ჰკითხოთ... კმაყოფილი ვარ, რომ წინასწარ ეტაპზე 17 ნჰლელმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო სლოვაკებს 10 ჰყავდათ. ეს ცოტა როდია".

დაგვეთანხმებით, ფაზელი ორაზროვნად ლაპარაკობს და ლიგის უფროსობასაც სწორედ ეს ეწიშნა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე რამდენიმე ევროპელმა თქვა უარი „ოლ სტარში" მონაწილეობაზე, რამაც ასევე განარისხა ნჰლ-ის კლუბების ბოსები. ფილადელფიის გენერალურ მენეჯერს ოტაველი დანიელ ალფრედსონის უარის შემდეგ მწყრალად უთქვამს, ნჰლ კარგ ხელფასს უხდის, აქ კარგი ცხოვრება ნახა და ახლა ყოყმანობსო.

ასე რომ, დიდი ძალისხმევით მიღწეული კომპრომისი, რომლის შედეგადაც ოლიმპიადის ჰოკეისტთა ტურნირი ესოდენ საინტერესო შეჯიბრებად იქცა, შესაძლოა, „ცივმა ომმა" შეცვალოს, ამით კი ყველა დაზარალდება — მაყურებელიც, ჰოკეისტებიც, საერთაშორისო ფედერაციაც და ლიგაც. სლოვაკებმა განხეთქილების ნაპერწკალი გააღვივეს და ალიც მოსალოდნელია.



გერი ბეტმენი



რენე ფაზელი

# წუხელ

## თხილამურობა

**ვაჟები**

10 კმ კლასიკური, 10 კმ თავისუფალი სტილი გამოდევნებით

1 იოჰან მულეგი (ესპანეთი) 49.20,4
2 თომას ალსგაარდი (ნორვეგია) 49.48,9
2 ფროდე ესტილი (ნორვეგია) 49.48,9




ნორვეგიელებმა თომას ალსგაარდმა და ფროდე ესტილმა ვერცხლი გაიორმაგეს

## სამთო თხილამურობა

**ქალები**

კომბინაცია

სწრაფდაშვება + სლალომი

1 იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 2.43,28
2 რენატე გოეჩლი (ავსტრია) 2.44,77
3 მარტინა ერტლი (გერმანია) 2.45,16



იანიკა კოსტელიჩი

**ქვეყანათა მონაგარი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 6 | 3 | 13 |
| ნორვეგია | 5 | 5 | 0 | 10 |
| აშშ | 3 | 5 | 2 | 10 |
| ავსტრია | 1 | 2 | 7 | 10 |
| რუსეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| კანადა | 0 | 1 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| შვედეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |



NHL ეროვნული რეგულარული ჩემპიონატი

# ეროვნული ჰაშ-ეკოლოგიურად სუფთა გრძნობაა

*ოთხშაბათის ამ ექვსი მატჩის მერე ჩემპიონატი 12 დღით შეწყდა და 26 თებერვალს განახლდება. 150-მდე ნჰლელი სოლტ ლეიკ სიტისკენ გაეშურა და დღეიდან იქ იბრძოლებს.*

**13 თებერვალი**

**მინესოტა 0:2 დეტროიტი 0:0 0:1 0:1**
**0:1 მოლტბი (37), 0:2 დანდენო (58)**

ოლიმპიადის წინ დეტროიტის მეკარე დომინიკ ჰაშეკმა კვლავ შეახსენა კონკურენტებს, ვინ მოაგებინა ჩეხეთს ნაგანოს ოქრო.

„თუ დომინატორი სოლტ ლეიკ სიტიშიც ასე ითამაშებს, ჩეხეთს მიზნის მიღწევა არ გაუჭირდება" — გულახდილად აღიარა მინესოტას თავკაცმა ჟაკ ლემერმა.

**კოლორადო 3:1 სენტ ლუისი 1:1 1:0 1:0**
**0:1 დემიტრა (2), 1:1 ვრბატა (14), 2:1 მაონოტი (38), 3:1 დე ვრიზი (60)**

**ჩიკაგო 5:4 ფლორიდა 0:2 5:1 0:1**
**0:1 ვ. ბურე (4), 0:2 ნილსონი (14), 0:3 ლინდსეი (22), 1:3 ნიულანდერი (26), 2:3 ამონტე (27), 3:3 ჟამნოვი (28), 4:3 ჟამნოვი (30), 5:3 მაუსლი (39), 5:4 პ. ბურე (41)**

ეს თამაში ყველაზე შედეგიანი იყო და ოლიმპიელთათვისაც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა — 9 გოლიდან 7 მათ ანგარიშზეა. ჩიკაგოს რუსულ-ამერიკულმა დუეტმა, ალექსეი ჟამნოვმა და ტონი ამონტემ თორმეტიოდე წუთში 0:3 5:3-ად აქციეს.

**დალასი 4:2 რეინჯერსი 0:1 2:1 2:0**
**0:1 ლინდროსი (18), 1:1 ტარჯონი (22), 1:2 ბარნაბი (27), 2:2 ლეჰტინენი (30), 3:2 მოდანო (51), 4:2 ნიუნდაიკი (57)**

კანადელი ოლიმპიელის, ერიკ ლინდროსის გოლი რას ეყოფოდა რეინჯერსს, როცა მას ერთბაშად სამმა დალასელმა ოლიმპიელმა უპასუხა — ფინელმა იერე ლეჰტინენმა და ამერიკელმა, მაიკ მოდანომ და ჯო ნიუნდაიკმა.

**ანაჰაიმი 3:2 კალგარი 0:1 1:1 2:0**
**0:1 იგინლა (12), 1:1 კალენი (26), 1:2 ბეგინი (30), 2:2 ტრნკა (42), 3:2 მაკდონალდი (43)**

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, კანადელ ოლიმპიელ ჯერომ იგინლას (35 გოლი და 29 პასი) მისმა თვისტომმა და მთავარმა ოპონენტმა პოლ კარიამ მხოლოდ იმით უპასუხა, რომ ენდი მაკდონალდს გაუწია ასისტენტობა. კალგარის მეკარემ რომან ტურეკმა მატჩის შემდეგ მოულოდნელად განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე ჩეხეთის ღირსებას ვერ დაიცავს, რადგან ქრონიკული ტრავმა აწუხებს. მას ატლანტელი მილან ჰნილიჩკა შეცვლის.

**ლოს ანჯელესი 2:2 ფინიქსი 1:0 0:1 1:1 0:0**
**1:0 პალფი (15), 1:1 ნუმინენი (36), 2:1 პალფი (51), 2:2 საგაჟი (53)**

სამწუხაროდ, ჩინებულად ათამაშებული სლოვაკი ზიგმუნდ პალფი (6 გოლი 3 თამაშში) სოლტ ლეიკ სიტიში ვერ დაგვატკბობს თავისი ოსტატობით, მისი ქვეყნის ნაკრები ხომ ვერ გავიდა მეორე ეტაპზე.

**სამველ ლარიბიანი**




REUTERS ანაპრთიდან

ჩემპიონატის ბომბარდირი, კანადელი ოლიმპიელი ჯერომ იგინლა



# დაბრუნებული

ის დაბრუნდა. ყველამ იცის, რომ ის დაბრუნდა. ბევრს არავის სჯერა, რომ ერთ უბრალო გუნდში მოთამაშე მაიკლ ჯორდანი შეუძლებელს შეძლებს და ამ გუნდს დიდების კვარცხლბეკამდე მიიყვანს. თავად თამაში გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას. მაგრამ ის დაბრუნდა. დაბრუნდა დაახლოებით ისე, როგორც „შესანიშნავი შვიდეულის" კრისი დაბრუნდა პატარა სოფელში, რათა ეთქვა, რომ გამარჯვება შესაძლებელია. ის დაბრუნდა და მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელებს დაუბრუნა ათასი თავსატეხი, მწვრთნელებს კი მივიწყებული საფიქრალი გაუღვიძა. ის დაბრუნდა. მაიკლ ჯორდანი ბრძოლაშია და ეს ბრძოლა ბევრად მძიმეა, ვიდრე აქამდე გადახდილი ბრძოლები. ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში", ჯორდანის ზურგსუკან გაცინებული ჯეკ ნიკოლსონი ჩანს. ის მოწინააღმდეგეს ქომაგობს. მაიკლ ჯორდანს სიცილისთვის არა სცალია. დიდ კალათბურთში ცოტა სიცილია, მოედნის ხაზს იქით ბრძოლის ველია, სადაც ერთი ძალიან დიდი კაცი ერთი ძალიან დიდი და ძნელი რამის დამტკიცებას ცდილობს მთელი სამყაროსთვის.



# ნახე, ზებერსაც შაუზერია

ვინმეს შეიძლება სტრიპტიზი ეგონოს, ან კიდევ მეტი. სინამდვილეში კი „ზაუბერის" მეფორმულეთა გუნდის პრეზენტაციაა და სხვა არაფერი. აკრობატ ქალთა გამოსვლის სულისჩამდგმელი თავად გუნდის ბოსი, სამოცს მიტანებული პეტერ ზაუბერი იყო. ეფექტური პრეზენტაცია გზას ულოცავს გუნდს, რომელიც ხელწამოსაკრავი სულაც არაა.

# ისე აკოცა

არაფერი ისეთი, ძმანო, არაფერი ისეთი. ძალისმიერი თამაშის ოსტატთა ეს კოცნა უბრალოდ კოცნაა და მეტი არაფერი. „სენტ ლუის ბლუზის" ჰოკეისტი სკოტ მელანბი თავისი გუნდის ვიცე კაპიტანს დაგ ვეიტს მხოლოდამხოლოდ იმტომ კოცნის, რომ დენვერის „პეპსი სენთერის" ტაბლო მთელს დარბაზს მოუწოდებს, თამაშისას ჩამოვარდნილი პაუზისას ერთმანეთს აკოცეთო. „ბლუზის" მასპინძელი კი, რა თქმა უნდა, დენვერის „კოლორადო ეველანშია".



REUTERS დენვერიდან



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# დაილეწა

დაილეწა ეს კორეელი ბიჭი 5000 მეტრზე ციგურაობის ნახევარფინალური შეჯიბრისას. მინ რიოიუნგი მოსახვევში აიჭრა და ჯებირს შეასკდა. ცხადია, ჰოსპიტალში გააქანეს. ოლიმპიადაზე ზოგს ოქრო ერგება ხოლმე, ზოგი კი ხელფეხდამტვრეული ბრუნდება შინ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში კანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, მაგდა ღოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge